დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები:

ნესტან სიხარულიძე-ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

ნათია ბრეგაძე-ზოდაგი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირმა შალიკიანი- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ეკატერინე ჟვანის - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ინგა გელაშვილი-უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

მადონა ბობოხიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ნინო მარღიშვილი- ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ირინე ჯანაშია-სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსექსპერტი

გიორგი ბერძულიშვილი- მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

თამარ ზედგინიძე- სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ვერა სომხიშვილი - დაწყებითი განათლების საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	232004595

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თერჯოლა სოფელი რუფოთი
იურიდიული მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი რუფოთი
ფაქტობრივი მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი რუფოთი
საფოსტო ინდექსი	2400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**არ აქვს**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**Rufoti@mes. gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577653400

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 01/08/2023 ბრძანება MES 8 23 0000949790
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	7-8 სექტემბერი, 2023 წელი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი რუფოთი
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი რუფოთი
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული	თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელი რუფოთი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 7და 8 სექტემბერს, სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთში განხორციელდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის ვიზიტი.
ვიზიტის მიზანი იყო: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.
ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა 11 ექსპერტით, მათ შორის 2 ზოგადი განათლების ხარისხის და 9 საგნობრივი ჯგუფის ექსპერტით. ვიზიტამდე რამდენიმე დღით ადრე ექსპერტთ ჯგუფი ორჯერ შეიკრიბა. განისაზღვრა ვიზიტის დღის წესრიგი და იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომელიც ვიზიტამდე უნდა წარმოედგინა სკოლას, რათა ექსპერტთა ჯგუფს შეძლებოდა ხარისხიანად და ეფექტურად განეხორციელებინა საქმიანობა. დოკუმენტაციის ჩამონათვალი გადაეგზავნა სკოლას, რომ ელმაც თავის მხრივ ნაწილობრივ მოგვაწოდა მოთხოვნილი მასალა.

სსიპ თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ რუფოთის საჯარო სკოლის შეფასების პროცესმა ჩაიარა საქმიან, კონსტრუქციულ და მშვიდ ვითარებაში.

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ შექმნა ყველა პირობა პროცესის სათანადოდ წარმართვისთვის, გამოავლინა თანამშრომლობის მაღალი კულტურა. გამოყო სივრცე შეხვედრებისთვის, განრიგის შესაბამისად, ორგანიზებულად შეგვახვედრა თანამშრომლებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების შესაბამისობას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნებთან მიმართებაში. დაათვალიერა ინფრასტრუქტურა და გაესაუბრა, როგორც ადმინისტრაციულ პერსონალს, ასევე სკოლის მასწავლებლებს. საგნობრივ ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ ონლაინ რეჟიმში გასაუბრებოდნენ შესაბამისი საგნების მასწავლებლებს და მოეპოვებინათ მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით. ონლაინ შეხვედრა დაიგეგმა ორივე სამუშაო დღეს. პირველ დღეს გაიმართა მცირე გაცნობითი შეხვედრა ყველა საგნობრივ ჯგუფთან, განხილული იქნა კურიკულუმის შემუშავებისა და სხვა ზოგადი საკითხები, მეორე სამუშაო დღეს კი ექსპერტებს საშუალება ჰქონდათ, მიეღოთ დეტალური პასუხები ცალკეულ ინდიკატორებთან მიმართებაში. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, ვიზიტის პერიოდში ადგილზე პედაგოგებთან უშუალო შეხვედრის დროს განიხილა კურიკულუმები, დაათვალიერა სასწავლო გარემო, ლაბორატორიები და გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს.

ვიზიტის თითოეული დღის ბოლოს ექსპერტებმა შეაჯამეს და ინფორმაცია მიაწოდეს სკოლის წარმომადგენლებს იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

თბილი და კეთილგანწყობილი გარემო სკოლის ჭიშკრიდანვე იწყება. „თქვენს მოსვლას კედლებიც ღიმილით ელიან!“- გვაუწყებს ლამაზად შესრუებული ბანერი. სკოლა ამაყობს 500-წლიანი ძელქვით.

სკოლა დიდი მონდომებით ნერგავს „ახალი სკოლის მოდელზე“ დაფუძნებულ სასწავლო პროცესს. ხელს უწყობს კომპიუტერული ტექნოლოგიებისა და ფიზიკის საფუძვლიან სწავლებას. მტკიცებულებად გამოფენილი აქვს მოსწავლეთა ხელით შექმნილი მაკეტები, რაც დადებითად განაწყობს მნახველს და აღვივებს ცნობისმოყვარეობას, ამაღლებს მოტივაციას.

ირგვლივ იგრძნობა გარემოზე ზრუნვა., სასკოლო საზოგადოების გუნდური მუშაობა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა ღაოდენობა: 170	**ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება** ☒	**აღწერა** ***(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)***
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **დაწყებითი საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **საბაზო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ექსპერტთა ჯგუფმა სრულ შესაბამისად შეაფასა **საშუალო საფეხურის** ზოგადსაგანმანათლებლო პროგრა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი		
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი ***.... 1.2.1.2.***	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	..... სკოლამ უზრუნველყოს 7-წლიანი სტრატეგიული გეგმის დამტკიცება უფლებამოსილი ორგანოს მიერ. (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №785 2007 წლის 31 აგვისტო).
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი *...3.4.1.1.*	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• სკოლამ შეათანხმოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა უფლებამოსილ ორგანიზაციასთან. • სკოლამ უზრუნველყოს

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

		კვალიფიციური ექთნის შერჩევა. .....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;	სკოლას მიეცა რჩევა: უფრო ნათლა განსაზღვროს სტრუქტურულ ერთეულების ფუნქციები
3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლას მიეცა რჩევა: პერსონალ განვითარებასთან დაკავშირებულ პრატიკული საქმიანობა გაწეროს გეგმ სახით
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	• რჩევა: სკოლამ გააფორმოს ხელშეკრულება უსაფრთხოების სპეციალისტთან.
სტანდარტი 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	**სასკოლო კურიკულუმი** **(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)**	***რჩევა***
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ. აღსანიშნავია, რომ, რიგი ინდიკატორები, რომლებიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც ,,არ შეესაბამება" (1.1.1.2; 1.2.1.2; 3.4.1.1.; 3.6.3.1; 3.6..3.4, 3.6.3.5;), ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც შესაბამისი. ეს ინდიკატორებია: 1.1.1.2. 3.6.3.1. 3.6.3.4. 3.6.3.5.

ხოლო ინდიკატორები 1.2.1.2. და 3.4.1.1. ექსპერტების მხრიდან შეფასდა, როგორც ,მეტწილად შესაბამისი"ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შესაბამისობაშია ზგემთან. მასში წარმოდგენილია ზოგადი განათლების მიზნების შესაბამისი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მისია 2018-2024 წლების სტრატეგიული გეგმის ნაწილია. იგი ზოგადია და მასში სკოლას არა აქვს გამოკვეთილი საკუთარი როლი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებულია, რომ შემუშავებული აქვს ახალი მისია, ხედვა და ღირებულება 2023 წლის 28 სექტემბერს და მასში გამოკვეთილი აქვს საკუთარი როლი.

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული.

3. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ არსებული მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში მონაწილეობდა სკოლის საზოგადოება.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. არსებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულება გაზიარებულია სკოლის საზოგადოების მიერ. გამოკითხვამ ცხადყო, რომ სკოლის საზოგადოებამ იცის მისიის მნიშვნელობა სკოლის სამომავლო საქმიანობისათვის.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

5. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში არსებული სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები საჯაროდ იყო ხელმისაწვდომი, გამოკრული იყო სკოლის საინფორმაციო დაფაზე, ასევე, სკოლის სოციალურ სივრცეში. გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ სკოლა სამინისტროს მხარდაჭერით მუშაობს ვებგვერდის შემუშავებაზე სადაც განთავსდება სკოლასთან

დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება სრულ შესაბამისობაშია კანონმდებლობით დაწესებული ტერმინთან, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 13.09.2005 წლის # 448 ბრძანებასთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი № 7 - ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა

სკოლის სოციალური გვერდი

საინფორმაციო დაფა-ადგილზე

ინტერვიუ ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც შეიცავს სასკოლო საზოგადოების ჩართვის მექანიზმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმა არის ექვსწლიანი. ის არ ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას. მისიაში სკოლა ვერ წარმოაჩენს საკუთარ გამორჩეულობას. სკოლამ, ავტორიზაციის პროცეში ჩართვის მომენტიდან, გააცნობიერა 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მნიშვნელობა და მიუხედავად იმისა, რომ წინა, 6-წლიანი გეგმა ჯერ კიდევ მოქმედია, დაწესებულებამ დაგეგმა, სტანდარტთან შესაბამისობაში მოიყვანოს სკოლის მუშაობა. ბრძანებით განისაზღვრა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც სრულად მოიცავს სასკოლო საზოგადოებასა და თემს. მოამზადეს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, თანმიმდერულად აპირებენ მისიის, ხედვის, ღირებულების, სტრატეგიული მიზნების 7-წლიანი გეგმის შემუშავებას . **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს, რომ 7-წლიანი სტრატეგიული გეგმა**

დამტკიცებული აქვს 2023 წლის 28 სექტემბერს, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე და დამტკიცებულია **არაუფლებამოსილი პირის- დირექტორის მიერ. რუფოთის საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება N 2-61** ((საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №785 2007 წლის 31 აგვისტო).

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

3. სკოლას შექმნილი აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. იგი ეყრდნობა 6-წლიან სტრატეგიული განვითარების გეგმას.

სკოლას გაანალიზებული აქვს გასული სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რაც სამეურვე საბჭოსთვის წარდგენილი ანგარიშით დასტურდება. სკოლა სამომავლოდ გეგმავს ახალი , 7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის მომზადება-დამტკიცების შემდეგ, გადახედოს 1-წლიან სამოქმედო გეგმას და სრულ შესაბამისობაში მოიყვანოს 7 - წლიან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში წარმოდგენილია გეგმის შესრულების გაზომვადი მექანიზმები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები, სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,

დანართი № 7 - ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა

დანართიN6 -ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

ბრძანება N2-54

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითრების გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში ნათლად არის გაწერილი მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. მეთოდოლოგიაში გაწერილია მექანიზმი, თანმიმდევრულად როგორ უნდა განახორციელოს სკოლამ სამოქმედო და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგი. ამ მიმართულებით ჯერ სკოლას გამოცდილება არა აქვს. მომზადების პროცესშია 7-წლიანი და შესაბამისად მასზე დაფუძნებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. სკოლას ნათლად აქვს გაცნობიერებული მონიტორინგის მნიშვნელობა.მონიტორინგის

მექანიზმები მეთოდოლოგიის ახალ დოკუმენტში გაწერილი აქვთ, რაც ქმნის სრულ შთაბეჭდილებას, რომ სკოლა შეძლებს მონიტორინგის განხორციელებას.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა აღნიშნავს, რომ სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმის განხორციელების შედეგებზე ყოველი წლის 10 დეკემბერს და სასწავლო წლის ბოლოს წარადგენს ზეპირ და წერილობით ანგარიშს სამეურვეო საბჭოს წინაშე. რომელშიც ძირთადი აქცენტი გაკეთებულია სასწავლო პროცესზე. სკოლა ანგარიშებს პერიოდულად ათავსებს საინფორმაციო დაფაზე, რათა დაიცვას დაინტერესებული პირებისა და მშობლებისთვის ხელმისაწვდომობა. სკოლას დაწყებული აქვს ვებ გვერდზე მუშაობა, სადაც განათავსებს ყველა საჯარო ინფორმაციას კანონმდებლობის სრული დაცვით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის დირექტორისა და კათედრების ანგარიშებში ჩანს, რომ სკოლა აკეთებს წინა წლის შეფასებას და შედეგებს ითვალისწინებს მომდევნო წლისათვის. სკოლას დღესდღეობით მეთოდოლოგიის დოკუმენტში გაწერილი აქვს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმი, რომლის დანერგვასაც დაიწყებს მიმდინარე სასწავლო წლიდან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი № 9 - სამეურვეო საბჭოს ანგარიშის ოქმი (10 დეკემბერი)

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,

დანართი № 7 - ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა

დანართიN6 -ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

ბრძანება N2-54

სამეურვეო საბჭოს ოქმი N7

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☒ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მომუშავე პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული. პირები- მათი ფუნქციები გაწერილია სამეურვეო საბჭოს იერ დამტკიცებულ შესაბამის დოკუმენტში. პედაგოგები, დირექცია, ტექპერსონალი, ადმინისტრაცია, მათი შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები გაწერილია თითოეულისთვის შესაბამის ხელშეკრულებასა და ბრძანებაში. კერძოდ, დირექტორი პასუხისმგებელია სკოლის მართვაზე, სკოლის წარმომადგენლობაზე მესამე პირთან ურთიერთობაში, სამეურვეო საბჭოს დასამტკიცებლად სკოლის შინაგანაწესის და სკოლის ბიუჯეტის წარდგენაზე, საშტატო განრიგის შემუშავებზე, მოწვეული მასწავლებლისა და შემცვლელი მასწავლებლისათვის საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენაზე, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღებაზე, სკოლის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადება - შეწყვეტაზე. დირექტორის მოადგილე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესის მართვაზე, საგაკვეთილო ცხრილის შემუშავებაზე, ონლაინ

ჟურნალის წარმოებაზე. ტექპერსონალი პასუხისმგებელია სკოლის ქონების მოვლა პატრონობასა და სისუფთავის დაცვაზე. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სკოლაში უსაფრთხო გარემოს.

სკოლაში ფუნქციონირებს:

სკოლის სამეურვეო საბჭო, რომელიც შედგება სამი პედაგოგისგან, სამი მშობლისა და ერთი თვითმმართველობის თავმჯდომარისაგან.

პედაგოგიური საბჭო, რომელიც მოიცავს 7 საგნობრივ კათედრას: ქართული ენისა და ლიტერატურის, მათემატიკისა და ტექნოლოგიების, უცხოური ენების, საზოგადოებრივი მეცნიერებების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, ესთეტიკური აღზრდის და სპორტის, დაწყებითის.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილის და ბუღალტრისგან.

სკოლის ადმინისტრაციაში შედის - საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, მატერიალურ- ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი. ტექნიკური პერსონალი: 3 დამლაგებელი, 2 დარაჯი.

დისციპლინური კომიტეტი: რომელიც შედგება ორი მასწავლებლის, ორი მოსწავლის და ორი მშობლისაგან. მრჩეველთა საბჭო, რომელშიც შედის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, უსაფრთხოების მიზნით გადამზადებული თანამშრომელი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე და სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, ასევე, რესურსცენტრის წარმომადგენელი. სკოლას არა ჰყავს მანდატური. სკოლას მიეცა რჩევა, უფრო ნათლად გაწეროს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის დოკუმენტებში ჩანს, რომ სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით და შინაგანაწესით. სკოლაში ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილების არსებული პრაქტიკა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის წარმატებით განხორციელებას. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს სკოლის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება მტკიცებულებები:
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმები
- თანამდებობრივი ინსტრუქციები
- სკოლის შინაგანაწესი
- ზეპირი ინტერვიუ

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. პერსონალის მართვის პოლიტიკა ეფექტურია და უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას. განვითარების პროცესის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებულია კარიერული წინსვლის, სასკოლო საზოგადოებაში ინტეგრაციისა და ინოვაციების წახალისება.

სკოლა თითოეული თანამშრომლისთვის, კანონმდებლობის შესაბამისად, აწარმოებს პირად საქმეებს. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. სკოლას პერსონალის მართვის წესები და პირობები ასევე წარმოდგენილი აქვს შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. სკოლის ყველა თანამშრომელი ხელმოწერით ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობას. შინაგანაწესით განსაზღვრულია: ა) სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო. ბ) დასვენების ხანგრძლივობა; გ) შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი; დ)ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ე) ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი; ვ) შრომის პირობების დაცვის წესები; ზ) წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი; თ) მატერიალური პასუხისმგებლობა; ი) განცხადების/ საჩივრის განხილვის წესი; კ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები; ლ) სკოლაში ჩაცმულობის წესი .

სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისი ხელშეკრულებები, პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. გასაუბრების დროს გაირკვა, რომ სკოლა მასწავლებელთა საჭიროებას მათ მიერ შევსებული თვითშეფასების კითხვარით ახდენს და ცდილობს დაეხმაროს პრობლემების დაძლევაში. მასწავლებლები შეიმუშავებენ წლის განმავლობაში შესასრულებელ სამოქმედო გეგმას, რომელსაც აქვს დოკუმენტის სახე, კერძოდ, აქვს თარიღი, მითითებულია სახელი და გვარი, საგანი, დიფერენცირებულია შესასრულებელი სამუშაო. სკოლა ეხმარება, ახალ პერსონალს სასკოლო საზოგადოებასთან ადაპტაციაში, საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც უწევს დახმარებას, რათა მოახდინოს სკოლის საზოგადოებაში ჩართულობა და პირველადი სირთულეების დაძლევა. ასევე კათედრები ეხმარებიან და ხელს უწყობენ ახალბედა მასწავლებელს სწავლა- სწავლების პროცესში. სთავაზობენ საკუთარ გაკვეთილზე დასწრებას, უზიარებენ გამოცდილებას, ერთად გეგმავენ გაკვეთილებს, ესწრებიან გაკვეთილზე და აძლევენ უკუკავშირს, უზიარებენ რესურსებს და თანამშრომლობენ ერთმანეთთან. სკოლის დანარჩენი პერსონალის საჭიროება და მართვა გაწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლა საჭირო კადრის შერჩევის დროს იცავს შესაბამისი კანონმდებლობით გათვალისწინებული პერსონალის შერჩევის

პოლიტიკას. სკოლას ჰყავს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მისისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო კომისიის მიერ შერჩეული ახალი კადრი. შერჩევის პროცესი ნაწარმოებია გამართულად, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. შერჩეულია საჭიროებაზე მორგებული პიროვნება შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტებით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის მიერ გათვალისწინებულია კონკრეტულ პოზიციაზე დასანიშნი პირის კვალიფიკაცია. მაგალითად: სერტიფიცირებული სპეციალური მასწავლებელი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება; სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლების, მეცნიერების კულტურისა და სპორტის მისისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანების საფუძველზე წინასწარ შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, რომლებიც წარდგენილია სკოლის მიერ ვებ. გვერდზე- pedagogi.ge, ამ მოთხოვნების საფუძველზე ხდება კომისიის მიერ განცხადებების გადარჩევა და შესაბამისი პირის შერჩევა.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

5. სკოლაში ვიზიტის პერიოდში აშკარად გამოიკვეთა, რომ მიმდინარე პროცესები აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობით და სასკოლო საზოგადოების ფართო ჩართულობით. პედაგოგიური საბჭოს და კათედრის თითოეული წევრი, თანამშრომლობის პრინციპის დაცვით, ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. თანამშრომლების შეფასების პროცესში აქტიურად არის ჩართული კოლექტიური ორგანო - ხარისხის ჯგუფი. სკოლაში ფართოდაა დანერგილი კრიტიკული მეგობრისა და ურთიერთდასწრების პრაქტიკა.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

6. სკოლას ჰყავს სხვადასხვა საგნის სულ 21 მასწავლებელი. მ/შ 1 მენტორი, 4 წამყვანი და დანარჩენი -უფროსი მასწავლებელი- 1 სპეციალური მასწავლებელი. რომლებიც სიახლეებს ჯერ საკუთარ კლასებთან გამოცდიან, შემდეგ უზიარებენ გამოცდილებას

სხვებს. მასწავლებლები ქმნიან ჯგუფებს და მუშაობენ ერთობლივ პროექტებზე, აღსანიშნავია, რომ სკოლის შინაგანაწესში ცალკე პუნქტებია გამოყოფილი თანამშრომლების წარმატების აღიარებისა და დაჯილდოებისთვის. მასწავლებლების და დანარჩენი თანამშრომლების წახალისება და დაჯილდოება სკოლაში იშვიათი არ არის. მეტწილად მას მადლობის ან მცირეფასიანი საჩუქრის ფორმა აქვს, მაგრამ სკოლისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მისი წარმატებები აღიარებული იყოს და გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას და თემს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემოთავაზებულ პროექტებში აქტიური ჩართულობა უცხო არ არის სკოლისთვის. სკოლაში მუშაობა დაიწყო საქართველოს მასწავლებელთა ეროვნული ცენტრის მიერ განხორციელებულმა პროექტმა „ჩხირკედელლამ“; ასევე, სკოლამ საჩუქრად მიიღო ვირტუალური ლაბორატორია. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სკოლა მეზობელ, პარტნიორ სასწავლო დაწესებულებებთან ერთად ხშირად ახორციელებს ინტეგრირებულ პროექტებს.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი;

ხარისხის მართვის დოკუმენტი

მასწავლებლის თვითშეფასების ფორმა

მასწავლებლის წლიური სამოქმედო გეგმა

დანართი № 13 - სამუშაო შეხვედის ოქმი

კლუბი „ჩხირკედელა“

ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი. სკოლას შექმნილი აქვს ხარისხის მართვის დებულება და ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარების და პროფესიული მართვის ჯგუფი, რომელიც გაწერილი პერიოდულობით ესწრება საგაკვეთილო პროცესს და აფასებს მასწავლებელთა საქმიანობას, აძლევს უკუკავშირს, შედეგებს აფორმებს ოქმების სახით. მასწავლებლები პროფესიული განვითარების საჭიროებათა დასადგენად ავსებენ კითხვარს, ერთად მუშაობენ კათედრებიც. ხარისხის ჯგუფის მუშაობას აქვს სისტემური ხასიათი, აღრიცხავენ მასწავლებლის პროგრესს, ხარისხის მართვის დეტალური პროცესები დასტურდება სკოლს საქმიანობაში. სკოლას დამტკიცებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლას არ აქვს, მასწავლებლის გარდა, პერსონალის შეფასების მექანიზმები. თუმცა, ზეპირად დასაბუთებული საჭიროების საფუძველზე, ხარისხის განვითარების მიზნით, სკოლამ იზრუნა საქმის მწარმოებლის, ბუღალტრის გადამზადებაზე.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები ავსებენ თვითშეფასების ფორმას, რომლის საფუძველზეც ადგენენ განვითარების გეგმას. მასწავლებლები, გაწერილი გრაფიკის მიხედვით, ესწრებინ ერთმანეთს "კრიტიკული მეგობრის" სტატუსით. აფასებენ პროცესს წერილობითი უკუკავშირის სახით, გეგმავენ პრევენციის გზებს, იხილავენ კომპლექსურ და შემაჯამებელ დავალებებს, აანალიზებენ და აფასებენ შედეგებს და სახავენ სამომავლო გეგმებს. ამ მუშაობაში კათედრებს კარგად დაეხმარა "ახალი სკოლის მოდელში" მიღებული გამოცილება, ადმინისტრაციის სისტემატური ჩართულობა. დირექტორის მოადგილე თავადა არის ჩართული დანერგვის პროცესში და პირადი მაგალითით ახალისებს გუნდს. გარდა მასწავლებლებისა, სხვა პერსონალის განვითარების საჭიროების ამსახველი კვლევა, ან სხვა რაიმე დამდასტურებელი მტკიცებულება ან მექანიზმი სკოლას არ წარმოუდგენია.

სკოლას მიეცა რჩევა, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული პრატიკული საქმიანობა გაწეროს გეგმის სახით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. სკოლის პედაგოგები აქტიურად არიან ჩართულნი მესამე თაობის ესგ-ს დანერგვისა და საბაზისო განათლების საერთაშორისო პროექტებში. სკოლა მხარდაჭერას უცხადებს პედაგოგებს, თვალნათლივ ჩანს კათედრათა შორის თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარება. სკოლა ხელს უწყობს არამარტო მასწავლებელთა, არამედ ადმინისტრაციის წარმომადგენელთა პროფესიულ ზრდას, ამჟამად სკოლის ბუღალტერი ჩართულია ტრენინგში. ტრენინგი გაიარეს საქმეთა მმართველმა და დირექტორმა.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

4.სკოლა ხელს უწყობს სამუშაო გარემოსთან თანამშრომელთა ინტეგრაციას, რაც დასტურდება სამასწავლებლოს შესაბამისი აღჭურვილობით, თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნით. სკოლა ზრუნავს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციაზე სასკოლო გარემოში. ხორციელდება დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის, სკოლა ყველანაირად ხელს უწყობს მათ ადაპტაციაში, გამოყოფს სპეციალურ პირს, რომელიც დაეხმარება ახალბედა თანამშრომელს მისთვის დავალებული საქმიანობის განხორციელებაში. მასწავლებლის შემთხვევაში ხდება კათედრებზე შეხვედრები, ერთად

იგეგმება გაკვეთილები, ურთიერთდასწრება და აზრთა გაზიარება, რესურსების გაზიარება და დახმარება პირველადი სირთულეების დაძლევაში. სკოლა თანამშრომლებისათვის პერიოდულად აწყობს ექსკურსიებს, რაც კიდევ ერთი ნიმუშია ინტეგრაციისა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა ახალისებს პერსონალის განვითარებას და წარმატებებს. უცხადებს მათ მადლობას, ახალისებს ფულადი ჯილდოთი. აღნიშნული გაწერილია სკოლის შინაგანაწესში. სკოლა ხელს უწყობს თანამშრომელთა ინიციატივებს პროფესიული განვითარებისთვის, სასკოლო კონფერენციის მომზადებასა, კონფერენციებში მონაწილეობასა და პროექტებში ჩართვაში.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის შინაგანაწესი

დანართი № 16- ხარისხის ჯგუფის ბრძანება

დანართი № 17 - ხარისხის ჯგუფის დებულება

ზეპირი ინტერვიუ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საგანმანათლებლო სქმიანობის ხარისხის განვითარების დებულება. მუშაობს ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც გაწერილი გრაფიკის მიხედვით აკვირდება საგაკვეთილო პროცესს, ეცნობა მასწავლევლის რეფლექსიას, ახდენს შეფასებას განმავითარებელი უკუკავშირის სახით. ეცნობა მასწავლებლის სამოქმედო გეგმას, აკვირდება სამოქმედო გეგმის განხორციელებას. ყველა ზემოთდასახელებული აქტივობა მიმართულია სასწავლო პროცესის გააქტიურებისადმი და მასწავლებლის საქმიანობის მონიტორინგს მოიცავს. სკოლა გეგმავს გაიწეროს სკოლის ყველა თანამშრომლის საქმიანობის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც გაითვალისწინებდეს ხარისხის უზრუნველყოფას „დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე“ ციკლის(PDCA) პრინციპით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

2. მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები იდენტიფიცირებული და აღწერილია სკოლის სხვადასხვა დოკუმენტებში: ფუნქციების აღმწერ დოკუმენტში, შინაგანაწესში, შრომით ხელშეკრულებებში, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, კურიკულუმის განვითარებისა და შემუშავების მეთოდოლოგიაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას აქვს გასაჩივრების მექანიზმი, რომელშიც გაწერილია დეტალური პროცედურები. ასევე, სკოლის შინაგანაწესის 22- ე მუხლში ვკითხულობთ, რომ სკოლაში შემოსული ნებისმიერი განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს, მიენიჭოს შესაბამისი ნომერი, განისაზღვროს ადრესატი და მასზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საჩივრის შემთხვევაში ერთვება სკოლის დისციპლინირი კომიტეტი, რომელიც კოლეგიალური ორგანოა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის შინაგანაწესში გათვალისწინებულია დასაქმებულების შრომის პირობების დაცვის წესები (მუხლი 9), დასაქმებულის დისკრიმინაციის შემზღუდავი მუხლები, თითოეულ დასაქმებულთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი დასაქმებულის უფლებები. სკოლას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს მოსწავლეთა მშობლებთან,

რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები. ასევე სკოლის შინაგანაწესის რამდენიმე მუხლში გვხვდება მშობლის ინფორმირებულობის ვალდებულება (მუხლი 19,მუხლი 23).

თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, სადაც გაწერილია მათი უფლებები და მოვალეობები. ასევე ის ინი ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, „გასაჩივრების დეტალურ პროცედურებს“ სადაც ასახულია გასაჩივრების წესი და უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლაში ფუნქციონირებს მშობელთა კომიტეტი, კომიტეტის წევრები არიან თითოე ულ კლასში არჩეული წარმომადგენლები. სკოლა ზრუნავს მათ აქტიურად ჩართვაზე სასკოლო ცხოვრებაში. სკოლის პერ სონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია სასკოლო საზოგადოების უფლება მოვალეობები. რაც კიდევ უფრო დაზუსტებულია ხელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. დაზუსტებულია ხ ელშეკრულებით, რომელიც ფორმდება სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლის ციფრული განვ ითარების გეგმა ითვალისწინებს მივცეთ საშუალება მშობლებს შეხვედრებში მონაწილეობა მიიღონ ონლაინ ფორმატში. სკოლა მუდმივად ზრუნავს მათი უფლებების დაცვაზე. მაქსიმალურად დაცულია სკოლის თემის უფლებები და თა ვისუფლებები კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის შინაგაგაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე და განთავსებულია სკოლის სოციალურ გვერდზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხარისხის განვითარებბის დბულება და ხარისხის ჯგუფის შექმნის ბრძანება.
- შინაგანაწესი
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მშობელთან/კანონიერ წარმომადგენლთან გაფორმებული ხელშეკრულება
- ზეპირი ინტერვიუ

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, მართვის პროცესებთან დაკავშირებით, მუდმივად აწვდის ინფორმაციას სასკოოლო საზოგადოებას. ინფორმაციის მიწოდება და უკუკავშირი ხორციელდება დამიგებელთა მეშვეობით და პირისპირ შეხვედრებით. ასევე აქტიურად იყენებენ სოციალური ქსელის ჩატს. სკოლა ახალ ინფორმაციას ათავსებს სკოლის სოციალურ გვერდზე. "ვებ" გვერდის შექმნაზე მუშაობა მიმდინარეობს. სკოლა მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებთან დაკავშირებით მშობელთა ინფორმირებისთვის აქტიურად იყენებს ელექტრონული ჟურნალის შესაძლებლობებს. სკოლის I სართულზე არის საინფორმაციო დაფა, სადაც თავსდება ახალი ინფორმაცია, საჯაროდ გაზიარების მიზნით. სკოლა ინფორმირებისათვის იყენებს "თიმსის" პლატფორმასაც. გარდა ამისა, შინაგანაწესით გათვალისწინებულია მშობელთა ინფორმირება ყოველ პარასკევს, 13 საათიდან 17 საათამდე. რეგირებისა და გადაწყვეტილრბის მიღების პროცესში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოების კოლეგიური ორგანო-სამეურვეო საბჭო-3 მშობელი, 3 მასწავლებელი,1 მოსწავლე-სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, რესურსცენტრის წარმომადგენელილი-(სათათბირო ხმის უფლებით).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულში, სამეურვეო საბჭოში, დისციპლინურ კომიტეტში, მრჩეველთა საბჭოში, ა.შ. შესაბამისი წესით ჩართულია მოსწავლეთა და მშობლების წარმომადგენელები. აღნიშნული დასტურდება პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს ოქმებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- მრჩეველთა საბჭოს ოქმები
- ზეპირი ინტერვიუ
- სკოლის სოციალური გვერდი
- დამრიგებლის ჟურნალები
- შინაგანაწესი
- ფოტოები

.....

.....

.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას , თვალსაჩინოდ გამოკრულია საევაკუაციო გეგმები , სახანძრო ფარი, ცეხლმაქრები . შენობა სრულად აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით. სკოლას ჰყავს ფიზიკურ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი რომელსაც აქვს შესაბამისი კომპეტენცია და უზრუნველყოფს უსაფრთხოებას სკოლის ტერიტორიაზე, სკოლა ასევე აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, რომლითაც კონტროლდება როგორც გარე ასევე შიდა პერიმეტრი. ასევე ჰყავს დარაჯი რომელიც პასუხისმგებელია არასამუშაო საათებში სკოლის დაცვაზე. დამრიგებლების მიერ სისტემატიურად ხდება სკოლაში არმყოფი მოსწავლის იდენტიფიცირება და მიზეზის მშობლეთან დადგენა სატელეფონო ზარის საშუალებით.
   სკოლა უზრუნველყოფს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. ამ მიზნით გაწერილი აქვს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი- სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოების დებულება. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვაში ჩართულია სკოლის საზოგადოება. შემუშავებულია მორიგეობის განრიგი, სკოლის სივრცეში გადაადგიებას აკონტროლებს სპეციალურად გამოყოფილი პირი-მორიგე დამლაგებელი, რომელიც სარეგისტრაციო ჟურნალში ატარებს ვიზიტორთა მონაცემებს.
   სკოლას არა აქვს უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციებშის მართვის გეგმა, მაგრამ დაწყებული აქვს ამ მიმართულებით მუშაობა, კერძოდ, გაგზავნილი აქვს წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შესათანხმებლად.
   სკოლა მუშაობს სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის გეგმაზე. კერძოდ, იდენტიფიცირებულია ხარვეზები, მომზადებულია ხარვეზების აღმოფხვრის ხარჯთაღრიცხვა და გაგზავნილია განათლებისა დაა მეცნიერების სამინისტროში შესაბამისი დაფინანსების მისაღებად.
   შენობა 2020 წელს არის სრულად რეაბილიტირებული და სრულად ადაპტირებული, მაგრამ არა აქვს შენობის მდგრადობის დასკვნა, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული, თუმცა, ამ მიმართულებით დაწყებული აქვს მუშაობა, კერძოდ, გაგზავნილი აქვს წერილი უფლებამოსილ ორგანოსთან შენობის მდგრადობის დასკვნის მისაღებად.

სკოლას, უსაფრთხოების დაცვის მიზნით, შექმნილი აქვს მრჩეველთა საბჭო, დამტკიცებულია უსაფრთხოების დებულება. თვალსაჩინო ადგილზე აქვს გამოკრული ცხელი ხაზის ნომერი "112". სკოლას არა ჰყავს ექიმი . სკოლამ გამოაცხადა ექიმის ვაკანსია, თუმცა დაინტერესებული მხარის არარსებობის გამო, კონკურსი ჩაიშალა რამდენჯერმე. აქვე უნდა აღინიშნოს,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანება №41/ნ/01-23/ნ 2022 წლის 21 მარტის დანართი 1.2. საფუძველზე დასაშვებია, ექიმის საკადრო რესურსის არარსებობის შემთხვევაში, ჩანაცვლდეს ექთნით. **სკოლას მიეცა რჩევა,** ექიმის მაგიერ შეარჩიოს კვალიფიციური ექთნის კანდიდატურა.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს, რომ 2023 წლის 19 სექტემბერს მოიპოვა შენობის მდგრადობის დადებითი დასკვნა.

ამავე შესაბამისობის გეგმაში სკოლამ არგუმენტირებულად წარმოადგნა, რომ საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას სკოლა მოიპოვებს 2024 წლის 30 მაისამდე და კვალიფიციურ ექთანსაც შეარჩევს 2024 წლის 30 მაისამდე.

3.4.1.1.ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესები. უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 11 სათვალთვალო კამერა (5 შიდა, ხოლო 6 გარე ხედვის კამერა) . სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია საევაკუაციო გეგმა და პირობითი ნიშნები რომელიც გამოკრულია თვალსაჩინოდ. სართულებზე განთავსებულია სახანძრო უსაფრთხოების დასაცავად სჭირო სპეციალური ინვენტარი. სკოლას შიდა ბრძანებით ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ატარებს შეხვედრებს სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი. დარაჯის ხელშეკრულებას თან ახლავს მორიგეობის განრიგი. სკოლაში მორიგეობენ მასწავლებლები სართულების მიხედვით, სართულებზე გამოკრულია გაკვეთილების ცხრილი და მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას ცალკე დოკუმენტად გაწერილი არა აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმი. სკოლის ადმინისტრაციასთან ერთად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოზე ზრუნავს სპეციალურად გადამზადებული სკოლის თანამშრომელი, კლასების დამრიგებლები, სპეციალური მასწავლებელი. სკოლაში არ ჰყავთ ფსიქოლოგი, მაგრამ სადამრიგებლო საათის ფარგლებში ნაწილობრივ ხორციელდება აქტივობები რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების ფსიქო-ემოციური მდგომარეობის კონტროლს. (“ბრაზის თერმომეტრი”, “მადლიერების ყულაბა”),
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4.სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, რომელსაც ახორციელებს სასკოლო ცხოვრებაში. მატერიალური უზრუნველყოფის კოორდინატორი თვალყურს ადევნებს და უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას, სკოლას ჰყავს 3 დამლაგებელი. ტექნიკური პერსონალი უზრუნველყოფილია სანიტარულ ჰიგიენური საშუალებებით. სკოლის შენობაში არის შიდა საპირფარეშოები, მ/შ ადაპტირებული სველი წერტილი პირველ

სართულზე, სადაც სრულად არის დაცული სანიტარულ ჰიგიენური ნორმები, სკოლა შეუფერხებლად მარაგდება ცენტრალური წყლით, მაგრამ შეწყვეტის შემთხვევაში სკოლას აქვს სათადარიგო ავზი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5.სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი და უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას, ამისთვის გამოყოფილი არის პერსონალური ინფორმაციის დაცვაზე პასუხიმგებელი პირი. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ მონაცემებში დაფარულია პიროვნების მაიდენტიფიცირებელი მონაცემები, ფოტომასალაში დაფარულია პირთა სახეები. მშობელი ხელმოწერით აცხადებს თანხმობას, რათა სკოლამ განახორციელოს მისი შვილის ფოტო-ვიდეო გადაღება, აუდიო ჩაწერა, ამ გზით მოპოვებული ინფორმაცია დაამუშაოს და გამოიყენოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლა იცავს პერსონალურ მონაცემებს შემუშავებული მექანიზმის მიხედვით. განსაზღვრულია დოკუმენტებზე წვდომის უფლების მქონე კონკრეტული პირი/ პირები “ eflow“ და “e-shool” მონაცემთა ბაზებში. ასევე დაცულია ელექტრონულ ჟურნალში დაფიქსირებული ჩანაწერები. მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით წვდომა აქვთ: სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს , საქმისმწარმოებელს და საინფორმაციო მენეჯერს. ვიდეო მონიტორინგის შედეგად მიღებული ჩანაწერები 30 დღის განმავლობაში ინახება სათანადოდ დაცულ ადგილზე. ჩანაწერის მიღება დასაბუთებული მოთხოვნით შეუძლია სკოლის დირექციას, დისციპლინურ კომიტეტს, მრჩეველთა საბჭოს. ასევე, სამართალდამცავ ორგანოებს – საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. კანონიერ წარმომადგენელს საჭიროების შემთხვევაში, შეუძლია ადგილზე გაეცნოს სხვისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. სკოლა უსაფრთხოების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას პერიოდულად ახდენს, მაგრამ მას არ აქვს სისტემური ხასიათი . ამ მიმართულებით იყენებს მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციებს, რომლის შემადგენლობაში, გარდა სკოლის წარმომადგენლებისა, შედის სპეციალურად გადამზადებული პირი და რესურსცენტრის წარმომადგენელი.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ წერილი და დოკუმენტები;
- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მომზადების დაკვეთის წერილი
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების წერილი
- მრჩეველთა საბჭოს ოქმი
- ვიზუალური დათვალიერება;
- ზეპირი ინტერვიუ
- დანართი № 22 - უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

№ 24 - დარაჯის ხელშეკრულება

დანართი № 25 - საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება

დანართი № 28 - საქმისწარმოების წესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსებით. დაწესებულების ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამის ინფრასტრუქტურას. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი მერხებით. საბუნებისმეტყველო საგნებისათვის გამოყოფილია ლაბორატორია. სკოლას შეუძლია დააკმაყოფილოს ავტორიზაციით მოთხოვნილი მოსწავლეთა რაოდენობა შესაბამისი, გამართული ინფრასტრუქტურით. სკოლა წარმოდგენილია მისამართზე თერჯოლოს მუნიციპალიტეტის სოფელი რუფოთი. რუფოთის საჯარო სკოლა არის ორსართულიანი და გათვლილია 170 მოსწავლეზე, საჯარო რეესტრის ამონაწერით ეზოს ფართი შეადგენს 9347 კვ.მ , რაც ვიზუალურად დასტურდება, შენობის ფართობი არის 1212 კვ,მ. სკოლას აქვს საკმარისი საკლასო და დამატებითი ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედანი, სასადილო, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, დირექციის და ადმინისტრაციის კაბინეტები, მანდატურის და დარაჯის ოთახი, ტექნიკური პერსონალის ოთახი, კეთილმოწყობილი ეზო. ყველა კაბინეტი აღჭურვილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით, სკოლა დაფარულია უკაბელო ინტერნეტით.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლაში კეთილმოწყობილია რეკრეაციული სივრცეები და ღია სპორტული მოედანი. მომავალი სასწავლო წლისთვის განახლებულია ბიბლიოთეკა, რესურსოთახი და კომპიუტერული ლაბორატორია. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია. სკოლას დამტკიცებული აქვს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და ბიბლიოთეკის დებულება. ბიბლიოთეკა განთავსებულია მისთვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. არის წიგნადი ფონდი, თუმცა, სასურველია მეტი ახალი წიგნი. ბიბლიოთეკას აქვს რესურსების კატალოგი. წიგნები დამუშავებულია დადგენილი წესით. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სკოლის საზოგადოებისათვის, გამოიყურება ესთეტიკურად. სკოლის ბიბლიოთეკარი თანამშრომლობს კათედრასთან. აქტიურად ერთვება სასკოლო პროექტებში.

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

3. სკოლა სრულად ადაპტირებულია. პირველ სართულზე მდებარეობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია სათანადო ინვენტარით. აქვს მოსასვენებელი და სამუშაო ზონები. რესურს ოთახში გამოფენილია მოსწავლეთა ნამუშევრები. შენობაში არის ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. ინკლუზიური განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესია, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება ერთიან, სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის მთლიანი სივრცე სავსეა მცენარეებით. მყუდრო გარემო ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მშვიდად წარმართვას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესისთვის დანიშნული ყველა საჭირო სივრცე: მოვლილი ეზო, ნათელი საკლასო ოთახები, ფართო დერეფნები, კაბინეტ-ლაბორატორიები, პროფესიის ათვისების მიზნით გამოყოფილი ოთახი, დამხმარე სივრცეები, ღია სპორტული მოედანი, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი. ეს ყველაფერი ქმნის მოსწავლის მხარდაჭერის პირობას და ხელს უწყობს ფიზიკურ სიჯანსაღეს, თანამშრომლობითი და გუნდური უნარების განვითარებას. სკოლა ხშირად ატარებს კურიკულუმის მიღმა საგანმანათლებლო და შემეცნებითი ხასიათის აქტივობებს. მოსწავლეებს აქვთ სივრცეები თანმშრომლობისთვის და საკუთარი იდეების რეალიზაციისთვის. სკოლას არა აქვს სპორტული დარბაზი, მაგრამ გამოყოფილი აქვს დერეფნის სივრცე, სადაც საჭირო დროს შეძლებს მოსწავლეთათვის სპორტის გაკვეთილის ჩატარებას. აღსანისნავია, რომ კლასები არ არის მრავალრიცხოვანი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. საგნობრივ კურიკულუმებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია სკოლის ბიბლიოთეკაში. წიგნები დანომრილია და ანბანის მიხედვით, შესაბამისად, განთავსებულია თაროებზე. სკოლის მთლიანი სივრცე დაფარულია უკაბელო ინტერნეტით,

მათ შორის, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ვირტუალური ლაბორატორია. სკოლას აქვს კურუკულუმის რეალიზაციისთვის საჭირო თვალსაჩინოებები, პლაკეტები, სქემები მულაჟები. სკოლა ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყოფს კურიკულუმებით განსაზღვრული რესურსების მობილიზებას. მოსწავლე უზრუნველყოფილია გრიფირებული სასკოლო სახელმძღვანელოებით და სხვადასხვა სახის თვალსაჩინოებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ბიბლიოთეკის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დანართი № 29 - წიგნების ხელშეკულება
- დანართი № 30- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ,
- შენობა-ნაგებობის სქემა

სკოლის სოციალური გვერდი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვას. სკოლას მიღებული აქვს 2 პროექტორი 3 პრინტერი და 8კომპიუტერი wi-FI როუტერი. ამ ეტაპზე არსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლისთვის. არსებობს მოსწავლეებისათვის ერთი სამუშაო სივრცე -კომპიუტერული ლაბორატორია სადაც ნებისმიერ მათგანს შეუძლია შესვლა და ტექნიკის გამოყენება (9:00 სათიდან -16:00 საათამდე). იგეგმება დამატებითი სამუშაო სივრცის მოწყობა ბიბლიოთეკაში. მასწავლებლებისათვის მსგავსი სამუშაო სივრცის მოწყობა დაგეგმილია სამასწავლებლოში. ამ ეტაპზე მასწავლებლები საკუთარი ლეპტობებით მუშაობენ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლას შემუშავებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიების სასწავლო და სამუშაო პროცესებში გამოყენების არეალის გაზრდას. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც ეხმარება /ფასილიტაციას უწევს მოსწავლეებს და მასწავლებლებს სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების გამოყენაბაში. სკოლას შემუშავებული აქვს კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი, რათა, მომავალი სასწავლო წლიდან კომპიუტერული ლაბორატორია ეფექტიანად იქნას გამოყენებული.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვიზუალური დათვალიერება
- ციფრული განვითარების გეგმა
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი
- ზეპირი ინტერვიუ

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების საკუთარი წესი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით დოკუმენტების შესრულების კონტროლის ორგანიზების, დოკუმენტების შემდგომი შენახვისა და გამოყენებისათვის მოსამზადებლად. საქმის წარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომლის მოვალეობები რეგულირდება შრომითი ხელშეკრულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მართვაში იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს მთავარობის შემოთავაზებულ ყველა ელექტრონულ ინსტრუმენტს მათ შორის სკოლის მართვაში გამოიყენება eflow, eschool, rs.ge, http://procurement.gov.ge/ Office 365, და mes; Gmail-ელექტრონული ფოსტა, Facebooc; eflow-ის საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს

მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპონდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას. სკოლა ამზადებს ვებ გვერდს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას აქვს სრულფასოვანი პროფილი მართვის ელექტრონულ სისტემაში, შეტანილი აქვს მოსწავლეთა, მშობლებისა და მასწავლებლის მონაცემები და სხვა აუცილებელი ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. ადგილზე სისტემის ვიზუალურად დათვალიერებით აღმოჩნდა , რომ ყველა ანგარიშს და ინფორმაციას დროულად აწვდიან რესურსცენტრს, დროულად აწვდიან ფინანსურ ანგარიშებს. სკოლას გამოქვეყნებული აქვს ანგარიში მაცნეს გვერდზე საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით, დროულად ბარდება დირექტორის ანგარიშები სამეურვეო საბჭოს.
დასტურდება (მტკიცებულებები):
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისწარმოების წესი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- დირექტორის 10 დეკემბრის ანგარიში და სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებგვერდი , მაგრამ მასზე ინფორმაცია განთავსებული არ არის ასევე აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook) , სადაც ქვეყნდება ინფორმაცია სკოლაში მიმდინარე პროცესებზე, სიახლეებზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს ვებ გვერდის შექმნა; ბრძანება N2-59- ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი,**

ინდიკატორი დაკმაყოფილებული არ არის.

2. სკოლა პასუხისმგებლობით ეკიდება გამოქვეყნებულ ინფორმაციას, რათა სკოლის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყოს სანდო და უტყუარი. სკოლას ამ მიზნით გამოყოფილი ჰყავს სპეციალური პირი, საქმის მწარმოებელი, რომელსაც ევალება სოციალურ გვერდზე ინფორმაციის გამოქვეყნება,ის პასუხისმგებელია ამ გვერდის ფუნქციონირებაზე, მას ინფორმაციას აწვდიან დირექტორი, კათედრის ხელმძღვანელები, მასწავლებლები. ინფორმაცია გამოქვეყნების წინ ყოველთვის მოწმდება. სკოლის სოციალური გვერდი ქმნის შთაბეჭდილებას მიმდინარე პროცესების შესახებ. სკოლას აქვს ვებ გვერდი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა იყენებს კონფიდენციალური გამოკითხვის მექანიზმს კითხვარების საშუალებით. საჭირო ინფორმაციას ღებულობს სხვა არხებითაც: სოციალური ჩატი, მშობელთა კრება, მრჩეველთა საბჭო. მნიშვნელოვანი წინადადებები განიხილება პედსაბჭოზე , კათედრებზე აკეთებენ ანალიზს და ითვალისწინებენ მუშაობის პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს ვებ. გვერდი. ამჟამად მასზე ინფორმაცია განთავსებული არ არის. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს ვებ გვერდის შექმნა; ბრძანება N2-59- ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი,**

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

5. ვებ გვერდის შექმნაზე მუშაობა ახლა მიმდინარეობს. სკოლის ინფორმაცია მასზე განთავსებული არ არის. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც არგუმენტირებულად დადასტურებული აქვს ვებ გვერდის შექმნა; ბრძანება N2-59- ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი,**

ინდიკატორი არ არის დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სოციალური გვერდი
- სკოლის ვებ გვერდი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ

ვებ გვერდი

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება. დაგეგმვის პროცესში ჩართულნი არიან სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, რაც უზრუნველყოფს ნაწილობრივ ყველას ინტერესების შემლებისდაგვარად გათვალისწინებას. სკოლის სწორად და გამართულად მუშაობისთვის მნიშვნელოვანია ბიუჯეტის სწორად დაგეგმვა. მისი მომზადებისას თავიდანვე განისაზღვრება: 1. სავარაუდო შემოსავლები; 2. მომდევნო წლის პრიორიტეტები; 3. სავარაუდო ხარჯები; 4. საბიუჯეტო პოლიტიკა და კალენდარი. სკოლას არა აქვს დიდი ფინანსური შემოსავალი. მიუხედავად ამისა, ბიუჯეტში ჩაშლილია წლიური აუცილებელი ხარჯები. დაგეგმვა არის რეალისტური.
ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, ქმნის ყოველწლიურ ბიუჯეტს , აკეთებს ყოველთვიურ და კვარტალურ ანგარიშებს. ავსებს ბალანსის ფორმებს და წარუდგენს მაკონტროლებელ ორგანოს, სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ყოველწლიურ ფინანსურ ანგარიშებს. შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების წესი. სკოლა ყოველი წლის ნოემბრის თვეში შეიმუშავებს შესყიდვების წლიურ გეგმას და ტვირთავს გვერდზე ePLAN , როგორც გეგმას ასევე შესრულების ანგარიშს.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- ზეპირი ინტერვიუ
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე.
- წლიური ფინანსური ანგარიში

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.....
.....
.....

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვა ხორციელდება სკოლის შინაგანაწესით. შინაგანაწესიდან გამომდინარე, კლასებში შემუშავებულია ქცევის წესები. როგორც შინაგანაწესი, ისე ქცევის წესები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, რაც დასტურდება პედაგოგიური გუნდის გამოკითხვით, თვალსაჩინო მასალით.სკოლას გაწერილი

აქვს მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. სკოლის შინაგანაწესის, მოსწავლეთა ქცევის წესების, გრიფირებული სახელმძღვანელოების შესახებ ინფორმაციის გაცნობა დასტურდება საკლასო და მშობელთა კრებების ოქმებით. აღნიშნული გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. მშობლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში .სკოლას ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის რეგულირების დოკუმენტი. სკოლის დერეფანში, თვალსაჩინო ადგილზე, გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში შედგენილია სადამრიგებლო პროგრამები. სადამრიგებლო პროგრამების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობს შინაგანაწესს. კლასში მოსწავლეები და დამრიგებელი ერთად ადგენენ ქცევის წესებს, წესები და შინაგანაწესი გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე, როგორც დერეფანში, ისე საკლასო ოთახებში. მეტი გამჭვირვალობის მიზნით, სკოლა გეგმავს ვებ გვერდზე სკოლის შინაგანაწესის ატვირთვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლას მოსწავლესთან/ კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. იგი შეიცავს თარიღს, მონაცემებს, ვის შორის დგება ხელშეკრულება, რა უფლებები და პასუხისმგებლობა აკისრია მხარეებს. მასში ნათლადაა წარმოდგენილი მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის წესი. დავების გადაწყვეტა და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობა, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- ვიზუალური დათვალიერება
- ზეპირი ინტერვიუ
- ხელშეკრულება მშობელთან
- გასაჩივრების დეტალური პროცედურები
- მოსწავლის ადაპტაციის წესი
- დამრიგებლის სამოქმედო გეგმა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს კანონმდებლობით დადგენილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი. იგი ხელმძღვანელობს "ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონით" და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04"ნ"(11/012017). სკოლა აკონტროლებს მოსწავლეთა გაცდენებს. 10/20/45 დღის გაცდენის შემთხვევაში კლასის დამრიგებელი მოიკვლევს მიზეზს და აღნიშნულის შესახებ წერილობით მიმართავს სკოლის დირექტორს. სკოლის დირექტორი, დამრიგებლის სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას კანონის შესაბამისად.

Commented [NK1]: რჩევა მიეცით შექმნას ერთიანი დოკუმენტი

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის წესს, რაც დასტურდება წარმოდგენილი ინდივიდუალური სამართლებრივი აქტებით; "ემისის" ბაზით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა მოსწავლეებს სთვაზობს მეორე უცხოენას, რომელიც დასტურდება კრების ოქმით, სკოლაში ფუნქციონირებს 4 კლუბი. რომელსაც აქვს პროგრამები შესაბამისი დებულება, რომელიც ზიარდება სკოლის ფეისბუქ გვერდზე. მომავალშ სკოლა აპირებს მოსწავლეებს შესთავაზოს დამატებითი კლუბები ინტერესებიდან გამომდინარე.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის დამატებითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია კანონის დაცვით არის გავრცელებული სკოლის პერსონალის მიერ, როგორც სკოლის სივრცეში, ისე სოციალურ გვერდზე. სკოლა ამჟამად მუშაობს ვებ გვერდზე, რომელზეც განათავსებს საჯარო ინფორმაციას.
ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
მოსწავლეთა ჩარიცხვა-ამორიცხვა ბრძანებები, განცხადებები
დანართი № 2 ოქმები
დანართი № 8 ოქმები
დანართი № 32 სკოლის სოც ქსელის გვერდის შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლას შემუშავებული აქვს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმი, შემუშავებული დოკუმენტი დანერგილია სასკოლო ცხოვრებაში, კერძოდ, სკოლა კავშირს ამყარებს წინასწარ პირველ კლასში შემომსვლელ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან იწვევს სკოლაში, აცნობს გარემოს, ატარებს მხატვრულ ღონისძიებებს. თუ სსსმ მოსწავლეა, აცნობს სპეციალურ მასწავლებელს, ათვალიერებინებს რესურსოთახს, იქ განთავსებულ ინვენტარს, სამუშაო და მოსასვენებელ სივრცეს. სკოლას სსსმ მოსწავლისათვის შექმნილი აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა. სასწავლო წლის ბოლოს განხორციელებულია მონიტორინგი. წარმოდგენილი აქვს მონიტორინგის მასალები. სკოლას შემუშავებული აქვს სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სწავლის დაწყებისთანავე ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასკოლო გარემოსთან, რაც დეტალურად გაწერილია ტრანზიციის გეგმაში. საკლასო ოთახები აღჭურვილია ასაკის შესაბამისი ინვენტარით. სკოლა სრულად ადაპტირებულია. აქვს პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილი. პირველ სართულზე მდებარეობს რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით. გარემო მყუდრო და მოსახერხებელია. სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური მასწავლებელი. ის თანამშრომლობს საგნის მასწავლებლებთან და ეხმარება მათ საჭიროებაზე მორგებული ინდივიდუალური გეგმების შედგენაში. კომუნიკაცია აქვთ სსსმ მოსწავლეთა მშობლებთან. სასკოლო საზოგადოებასთან ერთად, სპეციალური მასწავლებელი ზრუნავს სსსმ მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში მოსწავლეთათვის საინტერესო, საქმიანი გარემოა შექმნილი.

პირველკლასელთა ადაპტაციის მიზნით, სწავლის დაწყებამდე სკოლა შეხვედრას უწყობს მომავალ მოსწავლეებს მშობლებთან ერთად. აცნობს მათ გარემოს, მასწავლებელს, სკოლის პერსონალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3.სკოლა, მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით, მნიშვნელოვან დროს უთმობს სასკოლო გარემოს კეთილმოწყობას, რათა თითოეულმა მოსწავლემ მიიღოს საჭიროებიდან გამომდინარე მხარდაჭერა, რაც ხელს შეუწყობს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას. მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომია საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლა ახორციელებს სსსმ მოსწავლეთა უნარების განვითარებას. ამ მიზნით, მოწყობილია რესურს ოთახი, რომელიც სათანადოდ არის აღჭურვილი და ეძლევა საშუალება სსსმ მოსწავლეს, მიიღოს საჭირო მხარდაჭერა. სკოლის ინვენტარი იძლევა მოსწავლეთა მხარდაჭერის საშუალებას. სკოლის ბიბლიოთეკის სივრცე დამაკმაყოფილებელია. ბიბლიოთეკარი აქტიურად ახორციელებს პროექტებს სხვადასხვა კათედრასთან ერთად. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი მრავალფეროვან ღონისძიებებში. აღნიშნულის დასაბუთება შეიძლება კლუბ „ჩხირკედელას“ აქტივობებით, ტექნოლოგიების გაკვეთილებზე შექმნილი მოდელებით. სკოლა ახორციელებს შიდა შეფასებას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ მხარდაჭერას. (დანართი N38)

მოსწავლეები საჭირო ინფორმაციას ღებულობენ კარიერული განვითარების მიმართულებით. ისინი ხვდებიან წერეთლის უნივერსიტეტის პროფესურას სამომავლოდ პროფესიის არჩევის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას უწევს მოსწავლეს კანონით დადგენილი დროის სრული დაცვით. კლასის, საფეხურის დაძლევის, ჩარიცხვის, ამორიცხვის, სტატუსის შეჩერების ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები გამოცემულია ვადების და კანონმდებლობის დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5 .სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს. მათი მხარდაჭერის მიზნით, სკოლა ცდილობს გაამრავალფეროვნოს სასწავლო პროცესი, ხელი შეუწყოს ვირტუალური ლაბორატორიის გამოყენებას STEMმიმართულებით. სკოლაში კანონის დაცვით არის არჩეული მოსწავლეთა თვითმმართველობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ახორციელებს საინტერესო პროექტებს. პროექტების დასრულების შემდეგ ახორციელებენ უკუკავშირს, როგორც ზეპირად, ისე სოციალური გვერდის მეშვეობით. მხარდაჭერა მოიცავს, როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ მიმართულებას. დასრულების შემდეგ, მოსწავლეები საუბრობენ, რა მოეწონათ, რის

გაუმჯობესებას ისურვებდნენ სამომავლოდ, რომელი კლუბის შექმნა სურთ. სამომავლოდ სკოლა გეგმავს მეტად წაახალისოს მოსწავლეთა ინიციატივები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ვიზუალური დათვალიერება
მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
მოსწავლეთა ინდ გეგმების ნიმუში

.....

.....

.....

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. რუფოთის საჯარო სკოლაში მოსწავლეთათვის კარიერული დაგეგმვისა და პროფორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია, დამრიგებლები სადამრიგებლო საათის ფარგლებში ახორციელებენ საშუალო საფეხურის მოსწავლეების ვიზიტს პროფესიულ კოლეჯში (კონსტრუქტ 2) , გაფორმებულია მემორანდუმი ქუთაისის უნივერსიტეტთან, სკოლაში საფუძველი ეყრება წარმატებულ

კურსდამთავრებულებთა ვიზიტის ტრადიციას. რამდენიმე მოსწავლემ გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებელში. სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს პროფესიული ორიენტაციის მიზნით. ინფორმაციას ავრცელებს დამრიგებელთა მეშვეობით, მშობელთა კრებებზე, სოციალური გვერდის საშუალებით, ან საინფორმაციო დაფაზე განათავსებს ინფორმაციას ასეთი შეხვედრების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია .

2.სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებსა და მშობლებს პროფესიული ორიენტაციის მიზნით. ინფორმაციას ავრცელებს დამრიგებელთა მეშვეობით, მშობელთა კრებებზე, სოციალური გვერდის საშუალებით, ან საინფორმაციო დაფაზე განათავსებს ინფორმაციას ასეთი შეხვედრების შესახებ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა აფასებს წლის განმავლობა
ში გაწეული მომსახურების ხარისხს და მიზნობრიობას. ახალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს შექმნას შეფასების მექანიზმი რომელიც დაეხმარება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში. სკოლა სამომავლოდ გეგმავს გამოიყენოს კარგი პრაქტიკა (კონსტრუქტ 2) და წერეთლის უნივერსიტეტთან, განაგრძოს თანამშრომლობა მასთან..

ინდიკატორი არის დაკმაყოფილებული

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი № 40 - მემორანდუმი წერეთლის უნივერსიტეტთან

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც არის გაწერილი სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი.(ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რესურსოთახში მუშაობის განრიგი);

2. სკოლაში ხორციელდება ისგ ჯგუფის შეხვედრები სადაც მშობლის პრიორიტეტია განხილული, მოსწავლის წინსვლის ხელშეწყობის აქტივობები, მშობელთან ინფორმაციის გაზიარება როგორ ხდება სსსმ მოსწავლის შესახებ, ცნობიერების კამპანიები. შიდა მონიტორინგის დოკუმენტები,სპეც.მასწავლებლის რეკომენდაციები მასწავლებლებისთვის, გაკვეთილზე დასწრების და დაკვირვების ჩანაწერები, (სპეცმასწავლებელსა და საგნების მასწავლებლები შეთანხმებულად არჩევენ დიფერენცირებულ დავალებებს, და ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას). დასტურდება (მტკიცებულებები, არსებობის შემთხვევაში): კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი № 42 - დოკუმენტები შიდა მონიტორინგის

დანართი № 35 - ბრძანებები

დანართი № 44 - ისგ ოქმები

დანართი № 45 - ინკლუზიური დანერგვის სამოქმედო გეგმა

დანართი № 46- სსსმ მოსწავლის ხელშემწყობი *აქტივობები.*

.....
.....
.....

4.2.4.* სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. სკოლაში მოქმედებს ცეკვის წრე, დასახელებული წრე მუშაობს კანონმდებლობის დაცვით. სკოლა, ასევე, ახორციელებს ტრანსპორტით მომსახურების პროგრამას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2.სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო მომსახურება ხორციელდება კანონის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპით. სკოლის მიერ განხორციელებული არასავალდებულო მომსახურება ხელს უწყობს მოსწავლეთა კულტურულ აღზრდა-განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლა ვერ გასცემს ფართს იჯარით, ვინაიდან იგი ეკონომიკურად აქტიურ ტერიტორიაზე არ მდებარეობს. სკოლაში ფუნქციონირებდა გასულ სასწავლო წელს წრეები კანონის შესაბამისად. სკოლა გეგმავს სამომავლოდ წრეების გახსნას, მოთხოვნის შესაბამისად, ნებაყოფლობის პრინციპის დაცვით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სატრანსპორტო სამსახურის დოკუმენტაცია,
გამოფენილი ფოტომასალა

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი -

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დაწყებით საფეხურზე დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები: ა) საგნობრივი კურიკილუმები; ბ)სასკოლო პროექტები; გ) სადამრიგებლო საათი; დ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, მის გადასინჯვას და რევიზიას. როგორც სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლაში გარკვეულწილად გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით.

კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან,

კერძოდ, კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. მასწავლებლები კათედრის სხდომაზე განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმში შესატან საკითხებზე, აქტივობებსა და კომპლექსური დავალების იდეებზე. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს მშობელთა ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა შესაძლებლობები და მზაობა, საგნის მასწავლებელთა გამოცდილება და უკუკავშირი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**

2. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მათში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები).

საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. **ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სრულად ჩართულია სასკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეები და სკოლის დირექცია. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია**

4. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, აგრეთვე სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები (I-VI);
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში ჩანს, რომ იგი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების და დანერგვის პროცესში შერჩეული აქვთ საგნობრივი ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, მათ მიერ შუალედური მიზნის მისაღწევად დაგეგმილი კომპლექსური დავალებები შესაბამისი კონტექსტ მაგალითებით, ჩამოყალიბებული იდეებით და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით. მასწავლებლები აღნიშნავენ, რომ დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებსაა მორგებული. ითვალისწინებენ საგნობრივი სტანდარტების მისაღწევ შედეგებს და ცდილობენ დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მოახდინონ სამიზნე ცნებების დაფარვა. აღნიშნენ, რომ სწავლა-სწავლების დროს ცდილობენ მოსწავლეებს გადაცენ არა მხოლოდ ფაქტობრივი ცოდნა, არამედ მათ შეძლონ მისი გამოყენება და კავშირების დამყარება რეალურ ცხოვრებასთან. მაგ. დაწყებით საფეხურზე სწავლა-სწავლების დროს მოსწავლეებს ეხმარებიან გააცნობიერონ, რატომ უნდა ისწავლონ ბუნებისმეტყველება, მე და საზოგადოება და სხვა. მათ ნებისმიერი საკითხის შესწავლისას მოჰყავთ ცხოვრებისეული მაგალითები; თვლიან, რომ სწორედ რეალურ ცხოვრებასთან პარალელები ეხმარება მოსწავლეებს შინაგანი მოტივაციის გაზრდაში, რაც წარმატებული სწავლის წინაპირობაა. 2022-2023 სასწავლო წელს დაწყებით საფეხურზე თითოეულ კლასში სხვადასხვა საგანში განახორციელეს რამდენიმე კომპლექსური დავალება. აღნიშნეს, რომ განხორციელების პროცესში ჰქონდათ შემთხვევები, როცა სრულყოფილი სახე ვერ მისცეს დავალებას, რადგან ამ მხრივ სათანადო გამოცდილება არ ჰქონიათ; თუმცა მომავალში აპირებენ წინა წლის გამოცდილების ანალიზის საფუძველზე საკუთარი კომპეტენციის გაზრდას. მომავალ სასწავლო წელს თითოეულ კლასში გეგმავენ ორი კომპლექსური დავალების განხორციელებას მაინც, მოსწავლეთა შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

აღვნიშნავ, მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე მასწავლებლებს ყველა კლასისთვის სრული სახით არ წარმოუდგენიათ საგნობრივი კურიკულუმები, გასაუბრებისას მათ აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად.

ინდიკატორი შესაბაისობაშია

2. წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩანს და მასწავლებლებმაც გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების მთავარი ფოკუსი ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნებია. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მოსწავლეებში გლობალური ფუნქციური უნარების განვითარებისა და მაკრო და სამიზნე ცნებების დაფარვისკენ მიემართება; კურიკულუმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. აღნიშნეს, რომ დაწყებით საფეხურზე საგანთა თანმიმდევრული სწავლა-სწავლების გზით ცდილობენ მოსწავლეთა გონებრივი, ფიზიკური, ემოციური და სოციალური განვითარების ხელშეწყობას, სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ცნობისმოყვარეობის ცოდნისმოყვარეობაში გადაზრდას და მათ მომზადებას საბაზო საფეხურისთვის. მოსწავლეთა დაინტერესების მიზნით ცდილობენ დაანახონ მათ შესასწავლი საკითხის ღირებულება და მისი კავშირი რეალურ ცხოვრებასთან; ეხმარებიან მათ განუვითარონ თანატოლებისგან სწავლის უნარი, რადგან თვლიან, რომ ისინი უკეთ სწავლობენ ერთმანეთისგან. ხშირად აძლევენ პრაქტიკულ დავალებებს და მიმართავენ მოდელირების ხერხს. კეთებით სწავლება, როლური თამაშები, თვითშეფასება და ურთიერთშეფასება ეხმარებათ მოსწავლეებს ჰოლისტურ განვითარებაში. ასევე ეფექტურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას. მაგალითად ბუნებისმეტყველების კურიკულუმში გათვალისწინებული კომპლექსური დავალებების შესრულებისთვის გეგმავენ ისეთი აქტივობების განხორციელებას და რესურსების გამოყენებას(მაგ: ტელესკოლის გაკვეთილები, ვიდეო რესურსები, საჩვენებელი პლაკატები, სქემები), რომელიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და ავითარებს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციურ უნარებს; აღვნიშნავ ,რომ წინა წელს არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით სკოლაში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით ფუნქციონირებდა და მომავალ სასწავლო წელსაც კვლავ გაგრძელდება STEM კლუბი ,, ჩხირკედელას " მუშაობა; კლუბში განხორციელებული აქტივობებით , სასკოლო და საკლასო პროექტების (სასკოლო პროექტი "წყალი სიცოცხლის საწყისი, საკლასო პროექტი-ფიტოთერაპია,) განხორციელებით მოხდა მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების გააქტიურება. აღნიშნულ საკლასო პროექტებში აქტურად იყვნენ ჩართული მშობლებიც. აღნიშნეს,რომ შესრულებულმა აქტივობებმა გამოიწვია მშობელთა დიდი ინტერესი და გამოთქვეს მზადყოფნა, მომავალშიც აქტიურად ჩაერთონ მსგავს პროექტებში; რასაც აუცილებლად გაითვალისწინებენ შემდეგში. მომავალში გეგმავენ კლუბების რაოდენობა გაზარდონ მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად. აქტიურად ჩართონ სასკოლო ცხოვრებაში მშობლები და სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც, რადგან თვლიან, რომ დაწყებით საფეხურზე მოსწავლის წარმატებაში მათი როლი უმნიშვნელოვანესია

ინდიკატორი შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სკოლის მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ და გასაუბრებიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა გულისხმობს ერთი მხრივ განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორიცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა და ა.შ. და მეორე მხრივ პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული აქვთ დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები, რაც გამოიხატება შეთავაზებული მრავალფეროვანი აქტივობებით, რესურსებითა და კომპლექსური დავალებებით. მაგ. მოსწავლეებს თავაზობენ არჩევითი ხასიათის დავალებებს-კომპლექსური დავალება წარმოადგინოს ციფრული რესურსის „ ვსწავობ თამაშით“ გამოყენებით ან ფორმატის ფურცელზე. სამომავლოდ აპირებენ შესთავაზონ მოსწავლეებს დიფერენცირებული და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები; მოახდინონ არა მხოლოდ პროდუქტის, არამედ შინაარსის დიფერენცირება, მოსწავლეთა მზაობის შესაბამისად. ასევე მიზნობრივად გამოიყენონ სარემედიაციო აქტივობები. რემედიაციის შედეგები კი გადაამოწმონ ე.წ. ქვიზებით. არსებული მდგომარეობით დაწყებით საფეხურზე ყავთ ერთი სსსმ მოსწავლე. შესაბამისად, სკოლაში შექმნილია ისგ-ს ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის მონაწილეობის უზრუნველყოფას სკოლაში გამართულ ყველა ღონისძიებაში, მისი შესაძლებლობების გათვალისწინებით. მასწავლებლებს შედგენილი აქვთ ისგ გეგმები, სადაც გაწერილია მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სპეცმასწავლებელს აქვს ინდივიდუალური სამოქმედო გეგმა, ამუშავებს მოსწავლეს რესურს ოთახში კოგნიტური, სოციალური და სხვა უნარების განვითარებაზე. სამომავლოდ გეგმავენ საგანმანათლებლო პერსონალი უფრო მოქნილი გახდეს სსსმ მოწავლეებთან მუშაობისას, გაითვალისწინოს თითოეულის განსხვავებულობა და კურიკულუმის მიზნები მათი ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით განსაზღვროს. გეგმავენ აქტიურად ითანამშრომლონ დღის ცენტრებთან. აღვნიშნავ, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები 2023-24 სასწავლო წლიდან ფიქრობენ დიფერენცირებული მიდგომების აქტიურად დანერგვას და სასწავლო პროცესში მათ მიზანმიმართულ გამოყენებას, **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

აწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილია ,, კომპლექსური დავალების განმავითარებელი რუბრიკის შეფასება სამი დონის მიხედვით'', სადაც აღწერილია, რომ მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში, კომპლექსური დავალების განმავითარებელ რუბრიკაზე დაყრდნობით, ინიშნავენ თითოეულ კრიტერიუმებთან დაკავშირებით მოსწავლეთა მონაწილეობის ხარისხს - სამი დონის მიხედვით. ჩანიშვნების გასაკეთებლად მასწავლებელს შეუძლია საგანგებოდ შექმნას ცხრილი, რომლის ანალიზით შეუძლია განსაზღვროს რომელი სამიზნე ცნება და მასთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენები უფრო ეფექტურად დამუშავდა წლის განმავლობაში და რამდენად ჰქონდა თითოეულ მოსწავლეს

პროგრესი წლის განმავლობაში (თემების მიხედვით) კონკრეტულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით. V-VI კლასის ბუნებისმეტყველების მასწავლებელმა აღნიშნა , რომ დაწყებით საფეხურზე ძირითადად აქცენტს აკეთებს მოსწავლის განმავითარებელ შეფასებაზე, რომელიც ეხმარება მას ადეკვატური მეთოდებისა და სასწავლო რესურსების შერჩევაში. სწავლების პროცესში იყენებს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს-შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, ერთ წინადადებიან შეჯამებას, პასუხები წრეში, ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარი .... აგროვებს სანდო ინფორმაციას მოსწავლის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული, სამიზნე უნარის გამოყენების შესახებ, ახდენს შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც სწავლების პროცესში შეაქვს შესაფერისი ცვლილება. ახდენს კონსტრუქციული უკუკავშირის მიწოდებას მოსწავლისათვის, ხელს უწყობს მოსწავლეთა თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების უნარების განვითარებას. მასწავლებელმა ნიმუშად წარმოადგინა მე- VI კლასის ერთ-ერთი თემის შესაბამისი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები და აღნიშნა , რომ ეტაპობრივად შექმნის ყველა საკითხზე ან საკითხთა კლასტერზე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკას და ყველა კომპლექსური დავალების შესაბამის კონტექსტ მაგალითთან მიმართებაში განმავითარებელი შეფასების რუბრიკას.**ინდიკატორი შესაბამისობაშია**

5.დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი

სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას გაითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებას და ანალიზს მოახდენენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წინარე გამოცდილების გათვალისწინებით შეადგენენ გადამუშავებულ კურიკულუმს. სამომავლოდ აპირებენ პროცესის გაუმჯობესების მიზნით თითოეულმა მასწავლებელმა აწარმოოს „კომპლექსური დავალების დღიური“, რომელშიც ჩაინიშნავს განხორციელებული ეტაპების სუსტსა და ძლიერ მხარეებს, მოახდენს ამ ინფორმაციის ანალიზს და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას გამოიყენებს. ასევე დაწყებით საფეხურზე ფიქრობენ გამოიყენონ სადიაგნოსტიკო ტესტები ყველასაგანში. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

- თვითშეფასების კითხვარი;
- ისგ მე-6 კლ. ; ისგ ჯგუფის ოქმი; ინკლუზიური დანერგვის სამოქმედო გეგმა;
- I-VI კლასის კურიკულუმები;
- STEM კლუბი ,, ჩხირკედელა";
- სასკოლო პროექტი ,,წყალი სიცოცხლის საწყისი";
- საკლასო პროექტი ,,ფიტოთერაპია";
- სამდონიანი რუბრიკა მოსწავლის განვითარების დინამიკის შესაფასებლად;
- VI კლასის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას, რადგან ორიენტირებულია კომპლექსური დავალებების განხორციელებაზე, რომელიც თავის მხრივ მოიაზრებს შემოქმედებითი პროცესების და მიზნობრივი ქმედებების დაგეგმვასა და განხორციელებას. საგნობრივი კურიკულუმები გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებას ახდენს მრავალფეროვან საკითხებზე დაყრდნობით, ხოლო საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური ბუნების დავალებები მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს სხვადასხვა რეალურ გარემოში წარმოიდგინოს საკუთარი თავი, რაც მას სწავლის პროცესის სუბიექტად წარმოაჩენს. მოსწავლეს ასევე აქვს შესაძლებლობა განსხვავებული კონტექსტების საფუძველზე შექმნას შემოქმედებითი პროდუქტები, მაგ. პლაკატი, სტატია, კომიქსი, ბუკლეტი, პოსტერი, ფოტო-კოლაჟი. **ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია**

2. კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს კურიკულუმის მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში განხორციელების ეტაპები იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოახდინოს ახალი მასალის დაშენება წინა მასალაზე დაყრდნობით .

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3 . დაწყებითი საფეხურზე სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ეფუძნება საგნობრივი სტანტადრტით გათვალისწინებულ საფეხურეობრივ მიზნებსა და შედეგებს და კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომელიც თავის მხრივ განხორციელების პროცესში მოიაზრებს მოსწავლეთა უკუკავშირს საკუთარი სწავლის პროცესის მიმართ. კომპლექსური დავალებები მოსწავლეს სთავაზობს დამაფიქრებელ, მეტაკოგნიტურ

კითხვებს, რაც ქმნის საფუძველს მოსწავლემ შეაფასოს საკუთარი სწავლის პროცესი და განსაზღვროს სამომავლო გეგმები. სკოლის თვითშეფასების კითხვარის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია მოსწავლეთა მეტაკოგნიტური უნარების განვითრებაზე თვითშეფასების, ურთიერთშეფასების და კომპლექსური დავალებების პრეზენტაციის საფუძველზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს, როგორც დაგეგმილ კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ დაწყებითის კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთოს აქცენტები. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სირღმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. სკოლაში, დაწყებით საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირება და ორგანიზება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. მტკიცებულებით წარმოდგენილი კურიკულუმებში შუალედურ მიზნებად წარმოდგენილია კომპლექსური ბუნების დავალებები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. მაგალითებად წარმოდგენილ კომპლექსური ბუნების დავალებები გვიჩვენებს, რომ მოსწავლე არა მარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ უშვებს იმასაც, რომ სხვებს შეიძლება სხვა მოსაზრება ჰქონდეთ, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას, არგუმენტებს, ცდილობს მოძებნოს გამოსავალი. ეს აქტივობები კი მისგან მოითხოვს ყველა გამოცდილების მობილიზებასა და ცოდნების ინსტრუმენტად გარდაქმნას. კომპლექსური დავალებები მოსწავლეს ეხმარება საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებაში, რაც ხელს უწყობს კონსტრუქტივისტული პრინციპების გათვალისწინებას სწავლა-სწავლების პროცესში..

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები(I-VI)
- კომპლექსური დავალებები
- სასწავლო პროექტები
- სტატუსუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმა

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი მასალა გვიჩვენებს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და მათი მკვიდრი წარმოდგენების საგნობრივ საკითხებთან

მიმართება. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით. სკოლა დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების შესრულებისას იყენებს კომპლექსური დავალებების ბარათებს, მათში ასახულია: საგანი, ძირითადი რესურსი, თემა, კლასი, სამიზნე ცნება, შედეგები, ქვეცნებები/საკითხები, საკვანძო შეკითხვები. კომპლექსური დავალების პირობის შემდეგ, ჩაშლილია შეფასების კრიტერიუმები, რომელსაც მასწავლებელი აცნობს მოსწავლეებს, ხოლო ნამუშევრის წარდგენის შემდეგ, მინი-რეფლექსიის ფორმით, ერთხელ კიდევ ხდება გაანალიზება, რა ეტაპების გავლით შეასრულეს დავალება, რა მოეწონათ, რისი გაკეთება გაუჭირდათ, რას გააკეთებდნენ და როგორ, თავიდან რომ იწყებდნენ დავალებაზე მუშაობას. შემუშავებულ კურიკულუმებში განთავსებულია ისეთი კომპლექსური დავალებებიც, რომელთა შესრულებისას საჭიროა რამდენიმე სამიზნე ცნების დაწყვილება. ამ შემთხვევაში, მკაფიოდ არის გაწერილი ყველა ცნების თანმდევი მკვიდრი წარმოდგენები, საკვანძო კითხვები, ქვეცნებები და შეფასების კრიტერიუმები.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია

2. დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებში შემეცნების (აზროვნების, კოგნიციის) ფორმირებასთან ერთად ხდება სოციალური უნარ-ჩვევების ეტაპობრივი განვითარებაც. სოციალურ-ემოციური სფერო განსაზღვრავს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა პიროვნული თვისებების ჩამოყალიბებას და ადამიანებთან ურთიერთობას, რაშიც თავისი წვლილი შეაქვს დაწყებით საფეხურზე თითოეულ სასწავლო დისციპლინას. სოციალური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს დაამყაროს ურთიერთობა გარემოსთან და გარშემო მყოფებთან. ემოციური განვითარება განაპირობებს ბავშვის უნარს, შეძლოს საკუთარი გრძნობების გაგება და გამოხატვა, სხვათა თანაგრძნობა და სათანადოდ რეაგირება.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები ისეა შედგენილი, რომ მათი განხორციელება მოსწავლეებში აყალიბებს წარმოდგენებს და დამოკიდებულებებს საკუთარი თავის შესახებ: ვინ არის, როგორ აფასებს საკუთარ თავსა და ქცევას-დადებითად თუ უარყოფითად, აგრეთვე საკუთარი თავის რწმენას და იმედს, წარმატებული იქნება ამა თუ იმ საქმიანობაში ან სხვებთან ურთიერთობის დროს თუ არა, ასევე მოსწავლის მიერ საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს, რაც მოიცავს სტრესული სიტუაციების დაძლევას, იმედგაცრუების და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას, თვითგამოხატვას, ურთიერთობებს, ადაპტაციურ სოციალური ქცევას. უვითარებს მოსწავლეებს გარემოსთან ჯანსაღი ურთიერთობის უნარს, ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი თავის შეცნობაში ასაკის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით, უქმნის პოზიტიურ განწყობას სწავლა/სწავლების პროცესში, ეხმარება ემოციების მართვაში და სხვ. შეფასების კრიტერიუმები ისეა შერჩეული, რომ ორიენტირებულია მოსწავლების წახალისებაზე, იგრძნობა, რომ დაწყებითი კლასების მათემატიკის მასწავლებლები მოსწავლეებთან ურთიერთობაში იჩენენ ზომიერ სიმკაცრეს. აჩვევენ მოსწავლეებს ყოველდღიურ საქმიანობას, განსხვავებული ადამიანების და მოვლენების მიმართ შემგუებლობას. მათ გაცნობიერებული აქვთ, რომ დაწყებითი საფეხურის მოსწავლეები წაბაძვით სწავლობენ და მათთვის მასწავლებლის პირადი დადებითი მაგალითი და მოსწავლეთა მიმართ სამართლიანობა ძალზედ მნიშვნელოვანია. **ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია**

3. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება : 1-დან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მხოლოდ განმავითარებელი, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან- განმავითარებელიცა და განმსაზღვრელიც. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები. წარმოდგენილ დოკუმენტებში კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებშიც ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგები კარგად იყენებენ განმავითარებელი შეფასების მექანიზმებს.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია

4. დაწყებით საფეხურზე მოსწავლეები ასრულებენ მრავალფეროვან დავალებებს ტესტების, პროექტების, პრეზენტაციების, ჯგუფური სამუშაოების სახით და სხვ. ეს შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს სხვადასხვა კუთხით შეაფასოს მოსწავლის უნარები და შესაძლებლობები. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში მოცემული შეფასების სისტემები ვალიდური და სანდოა, რადგან შეფასების პროცედურით იზომება ის, რისი შეფასებაც არის გამიზნული და გამოყენებული. შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. შეფასების შედეგები გამყარებულია სათანადო მტკიცებულებებით, რასაც მასწავლებლები ზეპირი და წერითი კომენტარების სახით აწვდიან მოსწავლეებს. მოსწავლეთა შეფასება ხდება ესგ-ის სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებაში. შეფასებისთვის გამოიყენება მრავალფეროვანი ინსტრუმენტები (რუბრიკები), რომლებშიც ინდიკატორები წარმოდგენილია მათემატიკური ცოდნის ათვისების შედეგების შესაბამისად. ყველა ინდიკატორს ახლავს თავისი მიღწევის დონეები, რაც თვალსაჩინოს ხდის მიღებული შედეგის ობიექტურობას. შეფასების ინდიკატორს მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს, მათ იციან, რომელ დავალებაში რამდენი ქულით და რის მიხედვით შეფასებდებიან. ამ მეთოდით იზრდება გამჭვირვალობა და სამართლიანობა. მოსწავლეებს არ აქვთ უსამართლობის განცდა. ხშირად შეფასების კრიტერიუმების შემქნა ხდება მოსწავლეებთან ერთად და მათთან შეთანხმებით. სკოლაში დამკვიდრებულია ტრადიცია, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრულია სასკოლო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომ

ადგილას, უმრავლეს შემთხვევებში-საკლასო ოთახებში. დაწყებითი საფეხურის კურუკულუმებში მოცემული შეფასების სისტემები სამართლიანი და გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცედურა არის კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი, საჯაროდ ცნობილია წინასწარ შეფასების შესახებ დეტალური მონაცემები, როგორიცაა შესაფასებელი კომპეტენციების სფეროები და ღონისძიების ჩატარების დრო, დადასტურების პირობები, მოთხოვნები. სკოლა ორიენტირებულია მოსწავლეთა შესაფასებლად ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი შეფასების სისტემის გამოყენებაზე, რაც იძლევა მოსწავლეების ცოდნის დონის, მათი განვითარების, მიღწევების დადგენის საშუალებას. რაც შეეხება სემესტრის, სასწავლო წლის დასარულს, სკოლა ახდენს მოსწავლეთა დიაგნოსტირებას უკვე მიღებული ცოდნის და სასწავლო წლის მიღწევების დასადგენად, სუსტი მხარეების აღმოსაჩენად და აღმოსაფხვრელად. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. **ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია**

5. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მოსწავლეებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ წარმოადგინა სასკოლო-სასწავლო გეგმა და კათედრის ოქმები, სადაც დღის წესრიგშია შეტანილი დიაგნოსტიკური ტესტის შეფასებასთან დაკავშირებული საკითხები.

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია

6. დაწყებით საფეხურზე ხორციელდება შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვა და დოკუმენტირება რამდენიმე ხერხით. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეებს აფასებენ განმავითარებელი შეფასებით, რომლებიც თავმოყრილი და ორგანიზებულია სპეციალურად შეფასებისთვის შექმნილ exel-ის ფაილში და სასწავლო წლის ბოლოს ეგზავნება ადმინისტრაციას. ამავდროულად, თითოეული მოსწავლის შეფასება მატერიალური ფორმით ინახება მოსწავლეთა პირად საქმეში. გარდა ამისა, სკოლას აქვს დოკუმენტების აღრიცხვისა და მონიტორინგის ერთიანი ფორმა. დაწყებითი საფეხურის ყველა მასწავლებელს გააჩნია საკუთარი პორტფოლიო,

სადაც თავმოყრილია დოკუმენტაცია, მათ შორის კომპლექსური დავალებების შეფასებები. სკოლაში შემოსული ან/და სკოლიდან გაგზავნილი ყველა დოკუმენტი ინახება კანცელარიაში 5 წლის ვადით. 5 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ დოკუმენტების გადატანა ხდება სკოლის არქივში, სადაც გადაცემული დოკუმენტები რეგისტრირდება სპეციალურ ჟურნალში. პანდემიის დაწყებამდე სკოლა, ისევე როგორც საქართველოში ყველა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა სარგებლობდა ქაღალდის ჟურნალით. ჟურნალების შენახვა ხდება კანონით გათვალისწინებული დროის მანძილზე. ახლა სკოლა სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით, რომელშიც მოთავსებულია მონაცემები. გარდა ამისა სკოლას აქვს ბაზა სადაც ხდება შეფასებების და გაცდენების თავმოყრა. მოსწავლეების პირად საქმეებში ინახება ინფორმაციები მოსწავლის აკადემიური მოსწრების და სხვა საჭიროებების შესახებ. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. **ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- **დანართი № 48 სასკოლო კურიკულუმი**
- **დანართი 49-სადამრიგებლო გეგმა**
- **დანართი 51-განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები**
- **დანართი 52-კომპლექსური დავალებები**
- **დანართი № 54 საკლასო პროექტი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები და პროექტები**

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. სხვადასხვა კათედრის წევრები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან . სამივე საფეხურის მასწავლებელები ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა აქტივობას. დაწყებით საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. როგორც მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები და ინტერესები. ამასთან ერთად, გასაუბრებისას შეიმჩნეოდა კოლეგებს შორის კეთილგანწყობილი და კოლეგიალური დამოკიდებულება.

ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამისობაშია

2. მასწავლებლებთან გასაუბრება და წარმოდგენილი დოკუმენტაცია გვაძლევს საშუალებას, ვიფიქროთ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები ერთობლივად თანამშრომლობენ, ცვლიან საკუთარ მიგნებებს, გეგმავენ მოსწავლეზე ორიენტირებულ აქტივობებს, აქვთ დიფერენცირებული მიდგომები, იყენებენ ეფექტიან სტრატეგიებს და ხელს უწყობენ მოსწავლეებში თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. ამ მიზნით მასწავლებელთა მიერ შემუშავებულია კურიკულუმები, დაგეგმილია სხვადასხვა აქტივობები, პროექტები, მათ შორის საერთაშორისო პროექტები – Etwining, რომელზეც ინტერვიუს დროს დეტალურად საუბრობს კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, ასევე STEM პროექტები. დაწყებით საფეხურზე ეს ყველაფერი ხელს უწყობს მოსწავლეთა მრავალმხრივ განვითარებას. ინტერვიუს დროს მასწავლელები საუბრობენ რომ სკოლის მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ კონფერენციებში, სოციალურ პროექტებში (მდგრადი განვითარების მიზნებიდან გამომდინარე). ასევე სკოლას გადმოგზავნილი აქვს პროექტების შესახებ დოკუმენტები. ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით უნდა ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. მასწავლებლები ხელს უწყობენ მოსწავლეებს ძლიერი მხარეების განავითარებაში

ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამისობაშია

3. როგორც ინტერვიურების დროს გამოიკვეთა მასწავლებლები მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამაზე მეტყველებს მათ მიერ განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილები და პროექტები, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, თითოეული მასწავლებელი ზრუნავს მოსწავლეების მაღალი აკადემიური შედეგებისათვის. მასწავლებლები რეგულარულად თანამშრომლობენ სწავლებისა და კლასის მართვის სტრატეგიების გაუმჯობესების მიზნით. ისინი აანალიზებენ მონაცემებს თითოეული მოსწავლისა თუ საერთო პრობლემური საკითხების შესახებ და ცდილობენ ერთობლივად მიაგნონ მდგომარეობის გაუმჯობესების გზებს. **ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისობაშია**

4. ინტერვიუს დროს იკვეთება რომ სკოლის მიერ უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. ასევე თანამშრომლობითი და პროექტული სწავლება და მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე მიმართული აქტივობები იძლევა საშუალებას ვთქვათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.
მასწავლებელთან გასაუბრებიდან გამომდინარე სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო და უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე, რაც ასევე გამოიხატება მასწავლებლების მიერ განხორციელებულ აქტივობებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ინტენსიურად თანამშრომლობენ კოლეგებთან და კათედრის წევრებთან. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე
ინდიკატორი 2.2.3.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- კურიკულუმები
- პროექტები
- სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვადასხვა მასალები

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია თუ როგორ ხორციელდება კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. დოკუმენტის თანახმად კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი და მონიტორინგი ამ პროცესის უწყვეტი ნაწილია, ჩამოყალიბებულია შესაბამისი კითხვები, რომელთა ანალიზი კურიკულუმის მონიტორინგისა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესების საშუალება იქნება. ასევე იგეგმება მოსწავლეთა შედეგების დიაგნოსტირება, რაც ასევე კურიკულუმის შეფასების საფუძველი გახდება.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. კერძოდ, მონიტორინგისა და შეფასების შედეგად აღმოჩენილი ხარვეზების დროს მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ პრობლემების გადაჭრის გზებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია*
- *საგნობრივი კათედრების ოქმები*
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, როგორ განხორციელდება სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. როგორც აღნიშნავენ, პროცესების, მოსწავლეების, პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წყარო იქნება როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესის შეფასებისას რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სისრულე, მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, სხვადახვა წყაროსა და რესურსის გამოყენება. აღნიშნეს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის მონიტორინგისთვის გეგმავენ დღიურის შექმნას, რომელშიც აღიწერება პროცესი, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის, თვითშეფასების ბარათებისა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე მიღებულ მონაცემებს დაამუშავებენ – ახსნის სხვადასხვა ინსტრუმენტს (მათ შორის, ანგარიშის ფორმას) გამოიყენებენ და ამის საფუძველზე შეაფასებენ.

ინდიკატორი 2.3.2.1. შესაბამისობაშია

2. როგორც აღნიშნავენ, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. მასწავლებელი სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ანალიზის დროს, თავისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას ითვალისწინებს მთლიან კონტექსტს – როგორც საკლასო და სასკოლო კლიმატს, ისე დავალების განხორციელებისას რამდენად შესთავაზა მიზანმიმართული რესურსები და აქტივობები, რამდენად გაითვალისწინა მოსწავლის წინარე ცოდნა, მისი ინტერესები და შესაძლებლობები და ა. შ.

ინდიკატორი 2.3.2.2 შესაბამისობაშია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებელთა მიერ შეფასებისას გამოყენებულია სხვადასხვა მეთოდები მაგ: დისკუსია, ექსპერიმენტი, ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია და სხვა. რასაც ადასტურებს სკოლაში ესგ-ზე დაყრდნობით შემუშავებული სხვადასხვა ტიპის შეფასების რუბრიკები,

მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ მათ აქვთ მზაობა გამოიყენონ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები, ასევე აღნიშნეს, რომ აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, სკოლას აქვს სადიაგნოსტიკო ტესტის ჩატარების გამოცდილება, სამომავლოდ დაგეგმეს სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტის გამოყენება.

ინდიკატორი 2.3.2.3 შესაბამისობაშია

4. სკოლაში დაწყებით საფეხურზე შეფასება წარმოებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ ითვალისწინებენ კლასის საჭიროებებს, ახდენენ კომპლექსური დავალების მოდიფიცირებას და შესრულებულ დავალებას აფასებენ შესაბამისი შეფასების რუბრიკით, რომელიც ეფუძნება სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, ითვალისწინებენ სსსმ მოსწავლეების საჭიროებას და ახდენენ პრობლემის იდენტიფიცირებას , ადგენენ და აქტიურად იყენებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას.

ინდიკატორი 2.3.2.4 შესაბამისობაშია

მტკიცებულებები

- **კურიკულუმები**
- **განმავითარებელი შეფასების რუბრიკები**
- **კათედრის სხდომის ოქმები**
- **ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული აქვთ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ კურიკულუმის განვითარება უწყვეტი პროცესია და გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებისა და დანერგვის გარდა, დანერგვის პროცესის მონიტორინგს, შეფასებას, გადასინჯვას და რევიზიას. მასწავლებლებს გააზრებული და გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობა, თუ როგორ დაგეგმონ და განახორციელონ კურიკულუმის განვითარების ეტაპები. ამ მიზნით იკრიბებიან კათედრებზე და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და მიგნებებს, თუ რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას. ასევე გამოიკვეთა რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მშობლებთან კომუნიკაციას. მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლაში გაწერენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, როგორც მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისათვის, ასევე ერთწლიან სამოქმედო გეგმაში შესაბამისი აქტივობების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. სასკოლო კურიკულუმის მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად, მთელი წლის განმავლობაში კვლევის შედეგად შეგროვილი მონაცემების საფუძველზე. კურიკულუმის განვითარებაში და გადამუშავებული ვერსიის შექმნაში აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია და მშობლები, ანუ მთლიანად სასკოლო საზოგადოება. მასწავლებლები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას გაკვეთილზე, ასევე სკოლაში მოქმედებს ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. სკოლაში სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ითვალისწინებენ მასწავლებლის რეფლექსიას წარმატებით განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, რომლის ანალიზსაც მოახდენენ კათედრაზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე და კურიკულუმში აისახება გამოკვეთილი საჭიროებები და წინარე გამოცდილება. აღნიშნულის საფუძველზე შეიქმნება გადამუშავებული კურიკულუმი.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი -
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საბაზო საფეხურზე დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები: ა) საგნობრივი კურიკულუმები; ბ)სასკოლო პროექტები; გ) სადამრიგებლო საათი; დ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, მის გადასინჯვას და რევიზიას. როგორც სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლაში გარკვეულწილად გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით.

კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან,

კერძოდ, კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. მასწავლებლები კათედრის სხდომაზე განიხილავენ და მსჯელობენ კურიკულუმში შესატან საკითხებზე, აქტივოპებსა და კომპლექსური დავალების იდეებზე. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს მშობელთა ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა შესაძლებლობები და მზაობა, საგნის მაწავლებელთა გამოცდილება და უკუკავშირი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით.
ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია

2. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მათში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები).

საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. **ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სრულად ჩართულია საკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეები და სკოლის დირექცია. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები

მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია**

4. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, აგრეთვე სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმებიდასტურდება.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **1**სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, მათ მიერ გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც ,რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. კონკრეტულად, წარმოდგენილ ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოებში (VII-IXკლასი) ყველა სტრუქტურული ერთეული (თემები, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, კომპლექსური დავალების იდეები ,კონტექსტ-მაგალითები და მაგალითი შედარებისთვის, რესურსები) სწორადაა განსაზღვრული. ხოლო წარმოდგენილ ბიოლოგიის (VII-IX) და ქიმიის (VIII-IX)კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და ყველა კლასის სულ მცირე ერთ თემაში მაინც სწორადაა დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი სასწავლო წლისთვის. მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის აქვს დაგეგმილი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.
2. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათ მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. მტკიცებულებად წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობა , პოსტერების შექმნა, სტატიის დაწერა, კვლევითი ნაშრომის შექმნა...),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და ავითარებს მოსწავლის

გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. ამ უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო პროექტებში მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა(სასკოლო პროექტის ფარგლებში განახორციელეს აქტივობა „წყლის გაფილტვრა“). მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის დროს მოსწავლეებს სთავაზობენ „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისკენ, ამასთანავე, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს . ფიქრობენ, რომ შედეგად მიიღებენ იმას , რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია**.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც და გასაუბრებიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა გულისხმობს როგორც განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში(სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა და ა.შ.) ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლები 2023-24 სასწავლო წლიდან ფიქრობენ დიფერენცირებული მიდგომების აქტიურად დანერგვას და სასწავლო პროცესში მათ მიზანმიმართულ გამოყენებას. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას - განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საბაზო საფეხურის პედაგოგები გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: ზეპირ კომენტარს კონსტრუქციული უკუკავშირის ფორმით, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, ერთ წინადადებიან შეჯამებას, ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარის .... აგროვებენ სანდო ინფორმაციას მოსწავლის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული, სამიზნე უნარის გამოყენების შესახებ, ახდენენ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც სწავლების პროცესში შეაქვთ შესაფერისი ცვლილებები. ფიქრობენ, რომ სამომავლოდ საბაზო საფეხურზე კიდევ უფრო მეტად იქნას გამოყენებული განმავითარებელი შეფასება, შეარჩიონ ისეთი ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ მოახდენს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, და გახდება მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწმყობი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. თითეულ საგანში წარმოდგენილი იქნა თითო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. **ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. საბაზო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წარმატებულ გამოცდილებებს, ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზებს და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიების საფუძველზე ააგებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. სამომავლოდ აპირებენ პროცესის გაუმჯობესების მიზნით თითოეულმა საგნის მასწავლებელმა აწარმოოს „კომპლექსური დავალების დღიური“, რომელშიც ჩაინიშნავს განხორციელებული ეტაპების სუსტსა და ძლიერ მხარეებს და ამ ინფორმაციას გამოიყენებს ანალიზის დროს და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას.

ინდიკატორის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
VII- IX კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) კურიკულუმები.
განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
კომპლექსური დავალებების მატრიცები (ადგილზე);
შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზები (ადგილზე);

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

. საბაზო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია ჩარჩო- დოკუმენტებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმების განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას.

პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, წარმოდგენილ დავალებათა იდეებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3 . სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საბაზო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის" უნარზე. ამის მაგალითია კურიკულუმის ჩარჩო -დოკუმენტებში მოცემული კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად , კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , ამიტომ ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ საფუძველს იძლევა, დავასკვნათ, რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს , ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიებს და არეგულირებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. საბაზო საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს როგორც დაგეგმილ კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ საბაზო საფეხურზე კათედრებს აქვთ გამოცდილება და მზაობა დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთონ აქცენტები. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სირღმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითია მე-7, მე-8, მე-9 კლასების კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზების

საშუალებას აძლევს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე შემუშავებული კომპლექსური დავალების პირობები და მათი განხორციელების ეტაპები . პედაგოგებში შეიმჩნევა მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის წარმატებით გაართვან თავი დასახულ ამოცანებს : თემებთან მიმართებაში იმუშაონ ცოდნათა ურთიერთკავშირზე. სკოლა აკეთებს აქცენტს, შეუწყოს ხელი კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია
დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები.
- კომპლექსური დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

. სკოლის მიერ წარმოდგენილ საბაზო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად იციან აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია

2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და პირობები, ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. მუშაობის პროცესში მოსწავლეს ხშირად უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, აქვთ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოცდილება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. მოსწავლეები იძენენ თვითრეფლექსიის უნარსა და სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო ჩვევებს. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრას აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდისა და განვითარების პროცესს.

ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია

3. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებისების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ

ურთიერთშეფასებებს. ახალი სასწავლო წლისთვის მზად არიან თემების შესაბამისად გამოიყენონ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია

4. საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. სკოლას აქვს შემუშავებული ასევე განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ცალკე დოკუმენტებადაცაა წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიცაა გაწერილი. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და გამოთქვეს მზაობა რუბრიკებში წარმოადგინონ შეფასების კრიტერიუმები თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში ახალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია

5. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა, თუმცა სკოლა გეგმავს უკეთესი მექანიზმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია

6. სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც დაადასტურა გასაუბრებაზე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებმა.

ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
5. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
6. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, მშობლებთან მუდმივად აქვთ კომუნიკაცია , ხოლო მოსწავლეთა ჩართულობით იღებენ გადაწყვეტილებებს. ჩანს , რომ სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა აზრი, . სასკოლო საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობა მოსწავლის ,მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს.

ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამისობაშია

2. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები , წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ სოციალურ გვერდზე.

პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებები.

ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, ისე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას. ისინი გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და შემეცნებით აქტივობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს, მჭიდროდ ურთიერთობენ მშობლებთან. სკოლაში არსებობს ,,მშობლის ბარათები“ , რომლებიც ადასტურებს ამ მიმართულებით მუშაობის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისობაშია

4. პოზიტიური კლიმატის არსებობა იგრძნობა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მრავალფეროვანი აქტივობებით ალამაზებენ მას. მოსწავლეთა ნამუშევრები, მათი მიღწევები და წარმატებები აღიარებული და წახალისებული სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორი 2.2.3.4. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- კურიკულუმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრის შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება.
2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.
3. სასწავლო პროცესს ახასიათებს პრობლემების წარმოქმნა. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა, პირველ რიგში კათედრა იკვლევს ძლიერ და სუსტ მხარეებს, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ პრობლემის მოგვარების გზებს. სამომავლოდ სკოლა ამ მიმართულებით გეგმავს მექანიზმების დახვეწას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი № 48 - კურიკულუმი

დანართი № 54 -მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები ,სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, როგორ განხორციელდება სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. როგორც აღნიშნავენ, პროცესების, მოსწავლეების, პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წყარო იქნება როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესის შეფასებისას რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სისრულე, მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, სხვადახვა წყაროსა და რესურსის გამოყენება. აღნიშნეს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის მონიტორინგისთვის გეგმავენ დღიურის შექმნას, რომელშიც აღიწერება პროცესი, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის, თვითშეფასების ბარათებისა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე მიღებულ მონაცემებს დაამუშავებენ _ ახსნის სხვადასხვა ინსტრუმენტს (მათ შორის, ანგარიშის ფორმას) გამოიყენებენ და ამის საფუძველზე შეაფასებენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

2. როგორც აღნიშნავენ, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. მასწავლებელი სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ანალიზის დროს, თავისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას ითვალისწინებს მთლიან კონტექსტს _ როგორც საკლასო და სასკოლო კლიმატს, ისე დავალების განხორციელებისას რამდენად შესთავაზა მიზანმიმართული რესურსები და აქტივობები, რამდენად გაითვალისწინა მოსწავლის წინარე ცოდნა, მისი ინტერესები და შესაძლებლობები და ა. შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესის სანდო და ზუსტი შეფასება დამოკიდებულია ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის მოპოვებაზე, ეს კი მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. მონაცემთა შეგროვებას გეგმავენ მრავალმხრივად _ გამოკითხვის, ტესტირების, ინტერვიუს, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის გზით. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია ხედვის პერსპექტივა _ მულტიფაქტორული მიდგომა. მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას გათვალისწინებულია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი. მხედველობაში მიიღება ყველა ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე - მის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებზე. ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენტიფიცირება, თუ რა ფაქტორები ახდენს მასზე ზეგავლენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის თვითშეფასების ფორმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შემუშავებული აქვთ სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, სადაც გაწერილია კურიკულუმის განვითარების ეტაპები, გადანაწილებულია ფუნქციები და პასუხისმგებლობები სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს გაცნობიერებული აქვთ, რომ მონაწილეობა უნდა მიიღონ სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების გაანალიზებაში და სამუშაო პროცესში უნდა გაითვალისწინონ რეკომენდაციები, რომლებსაც კათედრა და სკოლის დირექცია შეიმუშავებს. კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის პროცესში გაანალიზდება მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში და სწავლის შედეგები, ასევე მშობელთა ჩართულობა, თუ რამდენად გაიაზრეს და გაითავისეს სასკოლო კურიკულუმი და რამდენად შეძლეს დაკავშირება საკუთარ პრიორიტეტებთან. კურიკულუმის რევიზიის დროს გაითვალისწინებენ, თუ რომელმა კომპლექსურმა დავალებამ და რესურსმა იმუშავა კარგად და გაზარდა მოსწავლეთა დაინტერესება და ჩართულობა სწავლა სწავლების პროცესში. ყველა ზემოთ აღნიშნული მონაცემის ანალიზის საფუძველზე სკოლაში გაწერენ კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით, კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და კურიკულუმის განვითარებაში და გადამუშავებული ვერსიის შექმნაში აქტიურად არიან ჩართულები სასკოლო საზოგადოების წევრები. მასწავლებლები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას გაკვეთილებზე, ასევე სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. სკოლაში სამუშაო შეხვედრებზე მასწავლებელთან ერთად განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილს, თვითრეფლექსიას და აძლევენ საჭირო რჩევებს და რეკომენდაციებს. ითვალისწინებენ მასწავლებლის მიერ სასწავლო წლის განმავლობაში წარმატებით დაგეგმილ და განხორციელებულ აქტივობებს, რომლის ანალიზსაც მოახდენენ კათედრებზე. სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში

გადაწყვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე. კურიკულუმში აისახება გამოკვეთილი საჭიროებები და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას მასწავლებლები გაითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებას და მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბაზო საფეხურის კურიკულუმები
სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2 **სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკუკუმი)**	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* ☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საშუალო საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი -
2.1. კურიკულუმის შემუშავება
2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას საშუალო საფეხურზე დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის შემადგენელი ნაწილები: ა) საგნობრივი კურიკილუმები; ბ)სასკოლო პროექტები; გ) სადამრიგებლო საათი; დ) დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურება. პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი და კურიკულუმის განვითარების ეტაპები, რაც გულისხმობს კურიკულუმის შემუშავებას, დანერგვას, დანერგვის პროცესის მონიტორინგს და შეფასებას, მის გადასინჯვას და რევიზიას. როგორც სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად, ასევე ინტერვიუების პროცესშიც გამოიკვეთა, რომ სკოლაში გარკვეულწილად გადანაწილებულია საქმიანობა კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების თვალსაზრისით.

კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად უნდა ითქვას, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად არის ჩართული კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში. სასკოლო საზოგადოების წევრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, კერძოდ, კურიკულუმის შექმნისას პედაგოგები ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, აზრს, განსხვავებულ ხედვებს და

პრიორიტეტებს. მასწავლებლები კათედრის სხდომაზე განიხილავენ და მსოჯელობენ კურიკულუმში შესატან საკითხებზე, აქტივოპებსა და კომპლექსური დავალების იდეებზე. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ჩანს მშობელთა ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმების შექმნისას გათვალისწინებული იყო მოსწავლეთა შესაძლებლობები და მზაობა, საგნის მაწავლებელთა გამოცდილება და უკუკავშირი.

სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით და მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია**

2. საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი კურიკულუმების შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ მათში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები და პრიორიტეტები, რომლის მიხედვითაც უნდა წარიმართოს საქმიანობა მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. მათში ასევე გათვალისწინებულია მოსწავლის ასაკობრივი და პიროვნული თავისებურებები და ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის მანძილზე განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები).

საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს. **ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია**

3. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია თუ რა ფორმით მონაწილეობენ სასკოლო საზოგადოების წევრები აღნიშნულ პროცესში. კურიკულუმის შემუშავების პროცესში სრულად ჩართულია საკოლო საზოგადოება: მასწავლებელი, საგნობრივი კათედრის თავჯდომარეები და სკოლის დირექცია. ისინი ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. თითოეული მასწავლებლის როლი კურიკულუმების შემუშავებისას გაწერილია კათედრის სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. გამომდინარე აქედან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია**

4. წარმოდგენილი კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიითა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმის საბოლოო ვერსიის გაზიარება ხდება კათედრების სხდომებზე, აგრეთვე სასკოლო საზოგადოების წევრებს გააჩნიათ მიკუთვნებულობის განცდა სასკოლო კურიკულუმის მიმართ. სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. მაგ., საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური განათლების სხვადასხვა საშუალებები, შესაბამისად **ინდიკატორი 2.1.1.4. შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- მშობელთა კრების ოქმებიდასტურდება.

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ ექსპერტების მიერ მიწოდებული კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, მათ მიერ გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც ,რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. კონკრეტულად, წარმოდგენილ ფიზიკის კურიკულუმის ჩარჩოში (X კლასი) ყველა სტრუქტურული ერთეული (თემები, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები, კომპლექსური დავალების იდეები , კონტექსტ-მაგალითები და მაგალითი შედარებისთვის, რესურსები) სწორადაა განსაზღვრული. ხოლო წარმოდგენილ ბიოლოგიის (Xკლ) და ქიმიის(Xკლ)კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სავალდებულო ველი შევსებულია და ყველა კლასის სულ მცირე ერთ თემაში მაინც სწორადაა დაგეგმილი კომპლექსური დავალებებით მუშაობა. მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა , რომ კარგად იცნობენ მესამე თაობის ესგ-ს და კარგად იციან კურიკულუმის თითოეული კომპონენტი რას წარმოადგენს, რა კავშირია მათ შორის, რა არის განსაზღვრული სტანდარტით და რისი შეცვლა შეუძლიათ საჭიროების შემთხვევაში. გეგმავენ კვლავ გააგრძელონ კომპლექსური დავალებების შერჩევა და კურიკულუმის ჩარჩოს გამდიდრება მომავალი სასწავლო წლისთვის. მოსწავლეთა მიღწევების სადიაგნოსტიკო მეთოდოლოგიის შემუშავება და დანერგვა სკოლას 2023-2024 სასწავლო წლისათვის აქვს დაგეგმილი. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აჩვენეს სწორი ხედვა, თუ როგორ უნდა წარმართონ სასწავლო პროცესი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**.
2. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათ მიერ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში 21-ე საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა) განვითარებაზე. მტკიცებულებად წარმოადგინეს კომპლექსური დავალების მატრიცები, სადაც გათვალისწინებულია ისეთი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები (მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, ვირტუალურ ლაბორატორიაში მუშაობა , პოსტერების შექმნა, სტატიის დაწერა, კვლევითი ნაშრომის შექმნა...),რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და ავითარებს მოსწავლის გლობალურ-ფუნქციურ უნარებს. ამ უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს სასკოლო და საკლასო პროექტებში

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობა. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობის დროს მოსწავლეებს სთავაზობენ „მოძრაობას“ მარტივიდან რთულისკენ, ამასთანავე, ნაცნობ, ცხოვრებისეულ კონტექსტებს . ფიქრობენ, რომ შედეგად მიიღებენ იმას , რომ მოსწავლეებს განუვითარდებათ დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარები, რაც ემსახურება სიღრმისეული სწავლების პრინციპებს. **ინდიკატორი შესაბამისობაშია.**

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშიც და გასაუბრებიდანაც ჩანს, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა გულისხმობს როგორც განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში (სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი ჰოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღმისეული სწავლა და ა.შ.) ასევე პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. თვლიან, რომ თითოეული მოსწავლე განსხვავებულია თავისი უნარ-ჩვევებით, გამოცდილებით, მიმდინარე ცოდნით, საჭიროებებით, სწავლის სტილით, მოტივაციითა და პირადი ინტერესებით. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლა იყენებს ორივე ტიპის შეფასებას - განმსაზღვრელი და განმავითარებელი. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საშუალო საფეხურის პედაგოგები გაკვეთილზე იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტებს: ზეპირ კომენტარს კონსტრუქციული უკუკავშირის ფორმით, შესასვლელ და გასასვლელ ბარათებს, ერთ წინადადებიან შეჯამებას, ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარის .... აგროვებენ სანდო ინფორმაციას მოსწავლის მიერ ამა თუ იმ კონკრეტული, სამიზნე უნარის გამოყენების შესახებ, ახდენენ შეგროვებული ინფორმაციის ანალიზს, ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას, რის საფუძველზეც სწავლების პროცესში შეაქვთ შესაფერისი ცვლილებები. ფიქრობენ, რომ სამომავლოდ საშუალო საფეხურზე კიდევ უფრო მეტად იქნას გამოყენებული განმავითარებელი შეფასება, შეარჩიონ ისეთი ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც უკეთ მოახდენს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას, და გახდება მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშეწმყობი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სტანდარტით განსაზღვრულ თემის ინდიკატორებს, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ეფუძნება სამიზნე ცნებას და ცნების მკვიდრ წარმოდგენებს. თითეულ საგანში წარმოდგენილი იქნა თითო განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

5. სკოლას წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი -სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, სადაც აღნიშნავს, რომ კურიკულუმის განვითარება მუდმივი პროცესია და სკოლა ვალდებულია ყოველწლიურად განაახლოს დოკუმენტი

წინა წლის მონაცემების ანალიზის საფუძველზე. საშუალო საფეხურის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წარმატებულ გამოცდილებებს, ჩატარებული შემაჯამებლების ანალიზებს და განხორციელებული აქტივობების რეფლექსიების საფუძველზე ააგებენ ახალი სასწავლო წლის კურიკულუმს. სამომავლოდ აპირებენ პროცესის გაუმჯობესების მიზნით თითოეულმა საგნის მასწავლებელმა აწარმოოს „კომპლექსური დავალების დღიური“, რომელშიც ჩაინიშნავს განხორციელებული ეტაპების სუსტსა და ძლიერ მხარეებს და ამ ინფორმაციას გამოიყენებს ანალიზის დროს და მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებისას.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- X კლასის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის) კურიკულუმები.
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებების მატრიცები (ადგილზე);
- შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები და ანალიზები (ადგილზე);

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საშუალო საფეხურზე სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში.სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი მათემატიკის სამიზნე ცნებები: ამის მაგალითია ჩარჩო- დოკუმენტებში გაწერილი კომპლექსური დავალებების იდეები. მიუხედავად იმისა, რომ დეტალურად არაა აღწერილი მათი განხორციელების პროცესი, მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან მომდევნო სასწავლო წლისთვის მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესში ჩართულობას შეუწყონ ხელი.

ინდიკატორი 2.2.1.1 შესაბამისობაშია

2. სკოლის საშუალო საფეხურის კურიკულუმების განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. სასწავლო პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, წარმოდგენილ დავალებათა იდეებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს.

ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია

3 . სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ საშუალო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარის განვითარებაზე. . ამის მაგალითია კურიკულუმის ჩარჩო -დოკუმენტებში მოცემული კონტექსტ მაგალითები, რომელიც საშუალებას იძლევა ნაცნობ კონტექსტზე დაყრდნობით მოსწავლემ მიიღოს ახალი ცოდნა და გამოცდილება. ზოგადად , კომპლექსური დავალებების სპეციფიკა იძლევა ცოდნის კონსტრუირების საშუალებას , ამიტომ ამგვარი ტიპის დავალებების წარმოდგენა სკოლის მიერ იმის დასკვნა იძლევა, იმის რომ მოსწავლეები იღებენ კონკრეტული ამოცანის მოთხოვნებს , ეძებენ მათი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიებს და არეგულირებენ საკუთარ სასწავლო გამოცდილებებს.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია

4. საშუალო საფეხურის კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე. ეს კარგად ჩანს როგორც დაგეგმილ კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. კომპლექსური ბუნების დავალებები და პროექტები გულისხმობს ცოდნის კონსტრუირებას, აგებასა და მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ საშუალო საფეხურზე კათედრებს აქვთ გამოცდილება და მზაობა დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთონ აქცენტები. პედაგოგები ხელს უწყობენ მოსწავლეს საგნობრივი საკითხების სირღმისეულად გააზრებასა და სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია

5. საშუალო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში იკვეთება მოსწავლეთა ცოდნის ურთიერთდაკავშირებისა და ორგანიზების გათვალისწინება. მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, ჩაატარონ ღონისძიებები ამ მიმართულებით. ამის მაგალითია საშუალო კლასების კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალების იდეები, რომლებიც მოსწავლეებს ცოდნის ორგანიზების საშუალებას აძლევს. სკოლას წარმოდგენილი აქვს ასევე შემუშავებული კომპლექსური დავალების პირობები და მათი განხორციელების ეტაპები . პედაგოგებში შეიმჩნევა მზაობა, რომ ახალი სასწავლო წლისთვის წარმატებით გაართვან თავი დასახულ ამოცანებს : თემებთან მიმართებაში იმუშაონ ცოდნათა ურთიერთკავშირზე. სკოლა აკეთებს აქცენტს, შეუწყოს ხელი კონსტრუქტივისტული პრინციპების მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ საშუალო საფეხურის კურიკულუმების ჩარჩოებში გაწერილი მასალაში ჩანს, რომ პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების საგნობრივ საკითხებთან მიმართება. მართალია, კურიკულუმის ჩარჩოებში არ არის გაწერილი მკვიდრი წარმოდგენები, მაგრამ მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მათ კარგად იციან აღნიშნული საკითხი და მოსწავლეებთან მუშაობისას აუცილებლად გაითვალისწინებენ მათ ჩამოყალიბებას ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში. მათ გაგვიზიარეს გამოცდილება თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით სასწავლო პროცესში და გამოთქვეს მზადყოფნა ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების სრულყოფისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.1. შესაბამისობაშია

2. სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია საშუალო საფეხურის კურიკულუმებში მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და პირობები, ხელს უწყობს მოსწავლეების მხრიდან სხვადასხვა სახის პროდუქტის შექმნას. მუშაობის პროცესში მოსწავლეს ხშირად უწევს თანამშრომლობა თანატოლებთან, აქვთ თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების გამოცდილება, რა დროსაც ვითარდება კომუნიკაციის უნარ-ჩვევები. მოსწავლეები იძენენ თვითრეფლექსიის უნარსა და სოციალური ურთიერთობებისათვის საჭირო ჩვევებს. ინტერვიუს შედეგად დადგინდა ,რომ კათედრებს აქვს გამოცდილება კლასგარეშე აქტივოებების, ექსკურსიების, პროექტების , არაფორმალური აქტივობების დაგეგმვის და განხორციელების გამცდილება, რაც თავისთავად მოსწავლისგან მოითხოვს ფსიქო-ემოციურ ჩართულობას და ხელს უწყობს პიროვნულ ზრდისა და განვითარების პროცესს.

ინდიკატორი 2.2.2.2. შესაბამისობაშია

3. სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განსაზღვრელი შეფასებისების რუბრიკები, რომლებიც მიემართება სხვადასხვა შემოქმედებით პროდუქტს. წარმოდგენილი კრიტერიუმები კარგადაა შემუშავებული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისიც აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ურთიერთშეფასებებს. ახალი სასწავლო წლისთვის მზად არიან თემების შესაბამისად გამოიყენონ შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები.

ინდიკატორი 2.2.2.3. შესაბამისობაშია

4. საშუალო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებებს, წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ-ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის დავალების შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. სკოლას აქვს შემუშავებული ასევე განმავითარებელი შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ცალკე დოკუმენტებადაცაა წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიცაა გაწერილი. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ

უკუკავშირს და გამოთქვეს მზაობა რუბრიკებში წარმოადგინონ შეფასების კრიტერიუმები თითოეულ კომპლექსურ დავალებასთან მიმართებაში ახალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.4. შესაბამისობაშია

5. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა, თუმცა სკოლა გეგმავს უკეთესი მექანიზმის შემუშავებას ახალი სასწავლო წლისთვის.

ინდიკატორი 2.2.2.5. შესაბამისობაშია

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვასა და შენახვას, რაც დაადასტურა გასაუბრებაზე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებმა.

ინდიკატორი 2.2.2.6. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები.

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს. როგორც პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, მშობლებთან მუდმივად აქვთ კომუნიკაცია , ხოლო მოსწავლეთა ჩართულობით იღებენ გადაწყვეტილებებს. ჩანს , რომ სკოლაში პრიორიტეტულია მოსწავლეთა აზრი, . სასკოლო საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობა მოსწავლის ,მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს.

ინდიკატორი 2.2.3.1. შესაბამისობაშია

2. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები , წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ სოციალურ გვერდზე. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ აქტიურად თანამშრომლობენ მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა კონკრეტული საჭიროებები.

ინდიკატორი 2.2.3.2. შესაბამისობაშია

3. სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, ისე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას. ისინი გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და შემეცნებით აქტივობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუავშირს, მჭიდროდ ურთიერთობენ მშობლებთან. სკოლაში არსებობს ,,მშობლის ბარათები“ , რომლებიც ადასტურებს ამ მიმართულებით მუშაობის ეფექტიანობას.

ინდიკატორი 2.2.3.3. შესაბამისობაშია

4. სკოლაში არსებობს დადებითი გარემო. პოზიტიური კლიმატის არსებობა იგრძნობა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მრავალფეროვანი აქტივობებით ალამაზებენ მას. მოსწავლეთა ნამუშევრები, მათი მიღწევები და წარმატებები აღიარებული და წახალისებული სკოლის ადმინისტრაციის მიერ.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- კურიკულუმები

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.

○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1სკოლაში ხორციელდება სწავლების ხარისხის მონიტორინგი და შეფასება. მოსწავლეების შედეგების კვლევა და ამ შედეგების გაუმჯობესების მექანიზმების დანერგვა. კათედრის შეხვედრებზე ურთიერთთანამშრომლობით ხდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებების ანალიზი, ტიპური პრობლემების გამოყოფა და სამომავლოდ მათი გათვალისწინება და შედეგების შეფასება.

2. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს მასწავლებელთა გაკვეთილზე დასწრებას, უკუკავშირს, რეკომენდაციების მიცემას. ამასთანავე, ხდება მასწავლებელთა მიერ რეფლექსიის შედგენა. აღნიშნულ პროცესში ჩართული არიან სკოლის საგნობრივი კათედრებიც. კათედრის ხელმძღვანელები ესწრებიან გაკვეთილებს, ახორციელებენ მონიტორინგს და კათედრის წევრებს რეფლექსიის სახით სთავაზობენ განვითარებაზე ორიენტირებულ უკუკავშირს.

3. სასწავლო პროცესს ახასიათებს პრობლემების წარმოქმნა. იმისათვის, რომ მოიძებნოს პრობლემების მოგვარების ოპტიმალური გზა, პირველ რიგში კათედრა იკვლევს ძლიერ და სუსტ მხარეებს, როგორც მოსწავლეებში, ისე მასწავლებლებში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კი კათედრის წევრები ერთობლივად შეიმუშავებენ პრობლემის მოგვარების გზებს. სამომავლოდ სკოლა ამ მიმართულებით გეგმავს მექანიზმების დახვეწას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დანართი № 48 - კურიკულუმი
- დანართი № 54 -მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები ,სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც ასახულია, როგორ განხორციელდება სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგი და შეფასება. როგორც აღნიშნავენ, პროცესების, მოსწავლეების, პრობლემების შესახებ ინფორმაციის შეგროვება მოხდება სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. წყარო იქნება როგორც სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი, ასევე სხვადასხვა დოკუმენტური, სტატისტიკური, ფინანსური თუ სხვა ტიპის რესურსი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ გააზრებული აქვთ, სასწავლო პროცესის შეფასებისას რამდენად მნიშვნელოვანია ინფორმაციის სისრულე, მრავალფეროვანი მეთოდებით მონაცემების შეგროვება, სხვადახვა წყაროსა და რესურსის გამოყენება. აღნიშნეს, კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესის მონიტორინგისთვის გეგმავენ დღიურის შექმნას, რომელშიც აღიწერება პროცესი, ასევე მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის, თვითშეფასების ბარათებისა და მშობელთა უკუკავშირის საფუძველზე მიღებულ მონაცემებს დაამუშავებენ _ ახსნის სხვადასხვა ინსტრუმენტს (მათ შორის, ანგარიშის ფორმას) გამოიყენებენ და ამის საფუძველზე შეაფასებენ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია და აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**

2. როგორც აღნიშნავენ, მოსწავლის სწავლის პროგრესის, მისი საჭიროებების შეფასებისას ინფორმაციის მოპოვება ხდება ყველა იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რომლებიც მოსწავლის პროდუქტიულობაზე ახდენს გავლენას. მასწავლებელი სწავლის პროცესში გამოვლენილი სირთულეების ანალიზის დროს, თავისი პედაგოგიური პრაქტიკის კვლევისას ითვალისწინებს მთლიან კონტექსტს _ როგორც საკლასო და სასკოლო კლიმატს, ისე დავალების განხორციელებისას რამდენად შესთავაზა მიზანმიმართული რესურსები და აქტივობები, რამდენად გაითვალისწინა მოსწავლის წინარე ცოდნა, მისი ინტერესები და შესაძლებლობები და ა. შ. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

3. როგორც ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, გააზრებული აქვთ, რომ სასწავლო პროცესის სანდო და ზუსტი შეფასება დამოკიდებულია ამომწურავი და ზუსტი ინფორმაციის მოპოვებაზე, ეს კი მონაცემთა მოპოვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებას გულისხმობს. მონაცემთა შეგროვებას გეგმავენ მრავალმხრივად _ გამოკითხვის, ტესტირების, ინტერვიუს, მოსწავლეთა ნამუშევრების ანალიზის გზით. შერჩეული აქვთ სადიაგნოსტიკო შეფასების მეორე ინსტრუმენტი. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

4. შეფასებისას გათვალისწინებულია ხედვის პერსპექტივა _ მულტიფაქტორული მიდგომა. მოვლენის, სიტუაციის, ინდივიდის შესწავლისას გათვალისწინებულია მასზე მოქმედი სხვადასხვა ფაქტორი. მხედველობაში მიიღება ყველა ფაქტორი, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე - მის აკადემიურ და ფუნქციურ უნარებზე. ხდება მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენტიფიცირება, თუ რა ფაქტორები ახდენს მასზე ზეგავლენას. **ინდიკატორი შესაბამისობაშია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

სკოლის თვითშეფასების ფორმა
კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის თანახმად, კურიკულუმის განახლება და განვითარება არის უწყვეტი პროცესი. კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის პროცესში გამოიკვეთება სწავლა სწავლების ძლიერი და სუსტი მხარეები, თუ რამდენად გაუმჯობესდა წინა სასწავლო წელთან შედარებით მოსწავლეთა შედეგები, რა ფაქტორები უწყობდა ან უშლიდა ხელს მოსწავლეთა მოსწრების გაუმჯობესებას და მშობლებთან კომუნიკაციას, ასევე გამოიკვეთება რა ფაქტორები/პრაქტიკა უწყობდა ან უშლიდა ხელს სკოლის დირექციის ჩართულობას სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგსა და შეფასებაში, მასწავლებლის პროფესიული საჭიროების იდენტიფიცირებასა და სკოლის ინსტიტუციურ განვითარებაში. ყველა ამ მონაცემების ანალიზის საფუძველზე სკოლაში შექმნიან კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შესამუშავებლად.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია

2. სასკოლო კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების დოკუმენტის მიხედვით გადამუშავებული ვერსიის შექმნაში აქტიურად არიან ჩართულები მასწავლებლები, მოსწავლეები, დირექცია და მშობლები. მასწავლებლები ახორციელებენ ურთიერთდასწრებას გაკვეთილზე, ასევე სკოლაში მოქმედებს ხარისხის გავითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მასწავლებლის საქმიანობაზე დაკვირვებას, შეფასებას და განმავითარებელი უკუკავშირის მიცემას. სკოლაში სამუშაო შეხვედრებზე აანალიზებენ ჩატარებულ გაკვეთილს და აძლევენ საჭირო რეკომენდაციებს. ითვალისწინებენ მასწავლებლის რეფლექსიებს წარმატებით განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე და შერჩეულ რესურსებზე, ასევე ითვალისწინებენ მოსწავლეთა სწავლის შედეგებს, იმ სირთულეებსა და გამოწვევებს, რომელიც განვლილ სასწავლო წელს კურიკულუმის განხორციელების პროცესში წარმოიქმნა. კურიკულუმში აისახება გამოკვეთილი საჭიროებები და წინა წლის გამოცდილება. ამრიგად, მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავება დაფუძნებული იქნება წინარე გამოცდილებაზე და გათვალისწინებული იქნება მონიტორინგისა და შეფასების შედეგები.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საშუალო საფეხურის კურიკულუმები
- სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- სკოლის წლიური სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

16.10. 2023 წ.
თარიღი